ალია

N108/3038/ 16 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე შეზღუდვები დაწესდება




# კიწმარიშვილის მანქანაში ნაპოვნი იარაღი „დიანაში“ შეძენილი 9 მმ-იანი „ჩეზე 75“-ია






## კოტე კუბლაშვილი თანამდებობას ტოვებს?

## რას უმზადებს საზოგადოებრივი მოძრაობა ბიძინა ივანიშვილს?

## მალე პროკურატურა დაკითხვაზე გივი თარგამაძესა და გიორგი ღვინიაშვილს დაიბარებს?

## მამა ელიზბარი: „სავარაუდოდ, პატრიარქი იზოლაციაში ჰყავთ“



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ რას ამბობს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებაზე

**ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებენ პოლიტიკოსები და მისი ახლობლები.**



**ბადრი ნანეტაშვილი:** „არ მჯერა თვითმკვლელობის ვერსიის. ხშირად საუბრობდა იმაზე, რის გაკეთებას აპირებდა მომავალში. ამბობდა, რომ საკაბელო ტელევიზიის შექმნა და არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება სურდა. ველაპარაკე 2 საათზე და ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა“.

**დავით დარჩიაშვილი:** „სამწუხაროდ, არ მაქვს იმედი დღევანდელ საგამოძიებო სტრუქტურების, რომ ამ საქმეს ისე წაიყვანენ, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დაადგინონ. ფაქტია, რომ შოკისმომგვრელი ტრაგედიაა და ბუნებრივია, მისი არა მხოლოდ ბოლოდროინდელი აქტიურობა, მისი ცხოვრების მანძილზე გადადგმული ნაბიჯები გინდა-არ გინდა პოლიტიკასთან კავშირებს გაფიქრებინებს, თუ რაში შეიძლება ყოფილიყო საქმე“.

**ვახტანგ რჩეულიშვილი:** „რატომ შეეძლო მოეკლა თავი ეროსი კიწმარიშვილს ან რატომ მოკლეს? ჯერ მხოლოდ ვარაუდი შემიძლია. მე ვფიქრობ ვალების გამო – განზრახ მკვლელობაც და თვითმკვლელობაც ძირითადათ ამ მიზეზით ხდება დღეს... იქ ნათელში ამყოფოს ეროსის ცოდვილი სული უფალმა, განა რომელი ვართ უცოდველი? ამიტომ უნდა ამოგვხოცონ? მივმართავ ხელისუფლებას, პრობლემა სისტემურია და არა მხოლოდ ინდივიდუალური... ქონებას რომ გართმევენ და შენ გაწერენ ვალებს, ამას ვერც კიწმარიშვილი გაუძლებდა და ვერც ჩარკვიანი“.

**თინა ხიდაშელი:** „ეხლა მხოლოდ ის მახსოვს, რომ ეროსიმ თავის დროზე ქვეყანაში ყველაზე მაგარი ტელევიზია შექმნა. ეს ძალიან დიდი ამბავი იყო მაშინ. ძალიან მამაცი ნაბიჯი და შესაძლოა ერთი, ცალკე აღებული ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის“.

**გია გაჩეჩილაძე** („გრეჩიხა“): „რამდენადაც მე მას ვიცნობდი, არა მგონია მას თავი მოეკლა. სხვას ვერაფერს ვერ გეტყვით, ძალიან დიდი ხანია ურთიერთობა არ მქონია, თუმცა რასაც ვიცნობდი სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო. რაც შეეხება მკვლელობის ვერსიას, ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს გამოძიება დაადგენს. სიმართლე გითხრათ, ბოლო სამი წელი მასთან ურთიერთობა არ მქონია. ვიცოდი, რომ რუსთავში მერის კანდიდატურაზე იყრიდა კენჭს“.

**ვალერი გელბახიანი:** „ეროსისთან, არჩევნების შემდეგ, მხოლოდ ტელეფონით მქონდა კავშირი. მას ჰქონდა თავისი პოლიტიკური გეგმები და არანაირი დეპრესია ბატონ ეროსის არ ჰქონია. სამართალდამცველების განცხადება, რომ კიწმარიშვილმა შესაძლოა თავი მოიკლა, ძალიან ნაჩქარევია და არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ ვითარებაში გამოვრიცხავ, რომ ეროსის თავი მოეკლა. თვითმკვლელობას მომზადება სჭირდება... რაც შეეხება კიდევ ერთ ვერსიას, რომ ვალები ჰქონდა, ეს ტყუილია. ეროსი ფინანსურად მყარ მდგომარეობაში იყო. ეს არის მკვლელობა და ამას სჭირდება გამოძიება. ეს უკვე მთავრობის პრესტიჟია, რამდენად სერიოზულად მოეკიდებიან ამ გამოძიებას. მე ვხედავ, რომ თავდაპირველი ვერსია ძალიან არასერიოზული იყო“.

**ნიკა გვარამია:** „ცხადია, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, ჩემი აზრით, ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობა ოქსიმორონია (ერთმანეთის საწინააღმდეგო, მახვილგონივრულ-სულელური). განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში, ის ჰიპერაქტიური იყო და უამრავი სამომავლო გეგმა ჰქონდა. უნიჭიერესი კაცი იყო და ღრმად ვწუხვარ მისი გარდაცვალების გამო“.

**ანა ხოშტარია**, ეროსი კიწმარიშვილის საარჩევნო შტაბის თანამშრომელი: „ვიცი, რომ ის არ დადიოდა დაცვით და იარაღით. მის მიმართ მუქარები არ იყო. ის ბევრ ადამიანს უყვარდა. ის იყო ძალიან ყურადღებიანი ადამიანი, არ ჰყავდა მტრები, წინასაარჩევნო პერიოდში, ხალხისგან მისი მისამართით სითბო და სიყვარული მოდიოდა. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ამ ადამიანთან მომიწია მუშაობა. ბევრი იდეა ჰქონდა და ალბათ, ამის გამო არ აწყობდათ... ვის არ აწყობდა, გამიჭირდება ამის თქმა. ტელევიზიის შექმნას აპირებდა, „რუსთავი 3“-ის. ბოლო პერიოდი არანაირი პრობლემა არ ჰქონია“.

**დავით ნარმანია:** „მინდა დავიწყო სამძიმრით, მივუსამძიმრო ეროსი კიწმარიშვილის ოჯახსა და ახლობლებს. დარწმუნებული ვარ, რომ საგამოძიებო საქმიანობა წარიმართება, ისე როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული და გაირკვევა, რასთან გვაქვს საქმე. ასეთი შემთხვევა არ არის ხშირი, თუმცა როდესაც ეს ეხება მაღალი ცნობადობის პიროვნებას, ბუნებრივია, საზოგადოებას აინტერესებს დეტალები და იმედია, საზოგადოება ყველა კითხვაზე პასუხს მიიღებს“.

**გიორგი მარგველაშვილი:** „დამატებითი ინფორმაცია არ მაქვს, მე მსურს ბატონი ეროსის ოჯახს მივუსამძიმრო ეს ტრაგიკული ფაქტი და საზარელი მკვლელობა, უსწრაფესად უნდა მოხდეს გამოძიება და პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, და პირველ რიგში მე ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას ამ ფაქტთან დაკავშირებით“.

**კახა ბენდუქიძე:** „ეროსი კიწმარიშვილი გავიცანი 2004 წლის თებერვალში, მოსკოვში. ოფიციალური ქართული დელეგაციის წევრი იყო. ამის შემდეგ რამდენჯერმე ვიკამათეთ, რამდენჯერმე ვიჩხუბეთ მაგრად, რამდენჯერმე ვითანამშრომლეთ. არ იყო იოლი და მარტივი ადამიანი. იოლი და მარტივი ადამიანები წარმატებას ვერ აღწევენ. ღმერთი შეუნდობს, რაც შესანდობია. თავის მოკვლას არა, ვინაიდან თავი არ მოუკლავს. როგორ უნდა წარმოიდგინო, ეროსის თავი რომ მოეკლა?!“ (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თვითმფრინავი, რომელმაც მესტიაში უნდა იფრინოს, სახიფათო არ არისო...

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მტკიცებით, საჰაერო ხომალდი, რომელიც სერტიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნებში ოპერირებისთვის, არ შეიძლება, საფრთხის შემცველი იყოს. ასე ეხმაურება უწყება გიორგი კარბელაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ელ-410“ ტიპის თვითმფრინავი, რომელიც მესტიის მიმართულებით რეისებს შეასრულებს, უსაფრთხო არ არის.

„ოპონენტების მიერ გავრცელებული განცხადებები არის უსაფუძვლო და ემსახურება თბილისი-მესტიის რეისის განახლების მნიშვნელოვანი პროექტის ხელის შეშლას და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. საჰაერო ხომალდი „ელ-410“, რომელიც მესტიაში იფრენს, არის უსაფრთხო, რასაც ასევე მოწმობს ის ფაქტი, რომ ის სერტიფიცირებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო და ევრორეგულაციებზე დაყრდნობით. შესაბამისად, საჰაერო ხომალდი, რომელიც სერტიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნებში ოპერირებისთვის, არ შეიძლება, საფრთხის შემცველი იყოს, სწორედ ამის გარანტად დგება ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო. „ელ-410“ ტიპის ხომალდი 1969 წლიდან გამოდის, რომელმაც გაუმჯობესება განიცადა და დღესაც წარმატებით ოპერირებს მთელ მსოფლიოში, ჯამში, დაახლოებით 500 მოქმედი თვითმფრინავია ოპერირებაში, მათ შორის, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, სლოვაკეთში, ლიტვაში და ევროგაერთიანების სხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ოპონენტების მხრიდან უბედურ შემთხვევებზე მხოლოდ საჰაერო ხომალდის ტიპზე საუბარი გაუმართლებელი და უპასუხისმგებლოა. ოპონენტების მიერ ნახსენები კანადური თვითმფრინავის იმ მოდელთანაც, რომლითაც რამდენიმე წლის წინათ ხორციელდებოდა რეგულარული რეისი თბილისი-მესტიის მიმართულებით, დაკავშირებულია არაერთი უბედური შემთხვევა“, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მესტიის მიმართულებით ნატახტრის აეროპორტიდან რეისები 18 ივლისიდან შესრულდება. (ფრონტნიუსი)

## ირაკლი ბათიაშვილი ბაჩო ახალაიას ნათქვამს ბოდვას უწოდებს



ყოფილი პატიმარი ირაკლი ბათიაშვილი ბაჩო ახალაიასა და მოწმე მიხეილ ბიბილურიძის განცხადებებს პასუხობს. ბაჩო ახალაიამ და მიხეილ ბიბილურიძემ განაცხადეს, რომ ირაკლი ბათიაშვილი ავჭალის ციხეში სკამზე ასული სვამდა მიხეილ სააკაშვილის სადღეგრძელოს.

„ეს ახსოვს ქართველ საზოგადოებას და მით უმეტეს, პატიმრებს, რომ უკომპრომისობისა და პრინციპულობის მაგალითი ვიყავი. მე შემომთავაზეს საპროცესო შეთანხმება, ყოველგვარი ფულის გადახდის გარეშე, რაზეც უარი ვთქვი. მერე მთავაზობდნენ, რომ სააკაშვილის სახელზე შეწყალების წერილი დამეწერა, მერე ისიც კი მითხრეს, რომ შეწყალებაზე ნუ დაწერ, თქვი, რომ მართალი ხარ, მთავარია, წერილი დაწეროო, ამაზეც უარი ვთქვი და მე გიჟი სააკაშვილის სადღეგრძელოს დავლევდი ციხეში? ასეთ ბოდვას რომ იძახიან, რამე ისეთი თქვან, რომ ვიღაც მოატყუონ. ციხიდან ვაგზავნიდი სტატიებს, მიმართვებს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ და იქიდან რომ გამოვედი ისევ ბრძოლაში ჩავერთე. რაში დასჭირდათ ასეთი ბოდვის თქმა, ჩემთვის გაუგებარია“, – განაცხადა ბათიაშვილმა.

2006 წელს, პროკურატურამ ირაკლი ბათიაშვილს ემზარ კვიციანის ამბოხის ინტელექტუალური მხარდაჭერისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებები წაუყენა და დააკავა. ბათიაშვილი თავდაპირველად, №7 დაწესებულებაში მოათავსეს, შემდეგ კი ავჭალაში, №10 დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდადებულები იხდიდნენ სასჯელს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აეროპორტის საზღვარზე შაშკინის უმიზეზოდ გაჩერება მგზავრებმა გააპროტესტეს



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელიც 15 ივლისს დილით საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, აეროპორტში გაურკვეველი მიზეზით საზღვარზე გააჩერეს. ამის შესახებ შაშკინი სოციალურ ქსელში წერს და მადლობას უხდის მგზავრებს, რომლებიც მგზავრების უმიზეზოდ დაყოვნების გამო პროტესტს გამოთქვამდნენ.

„დილით ოჯახთან ერთად დავტოვე საქართველო ერთი კვირით. მიზეზი მარტივია – ჩემთვის ექიმები, ოჯახისთვის მცირეოდენი დასვენება. აეროპორტში, როგორც ყოველთვის, ნახევარი საათი ვიდექი საზღვარზე. მადლობა პატრულის რიგით თანამშრომლებს, რომ არ კარგავენ ადამიანობას და გულწრფელად განიცდიან, რომ ასეთ უღირს საქციელში ძალაუნებურად მონაწილეობენ და ბოდიში, რომ ეს ჩემი და ჩემი სხვა კოლეგების გამო ხდება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მგზავრებს, რომლებიც უკვე ღიად გამოთქვამენ პროტესტს, რომ მათ თვალწინ უმიზეზოდ აწვალებენ ადამიანს“. (ნიუპოსტი)

## ცესკომ ქორეპისკოპოს იაკობისგან ახსნა-განმარტება მიიღო



ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქორეპისკოპოს იაკობისგან ახსნა-განმარტება მიიღო. ცესკოში ახსნა-განმარტების დეტალებს არ ასაჯაროებენ, თუმცა აცხადებენ, რომ გადაწყვეტილებას ერთი თვის ვადაში განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებათაშორისი კომისიის მომართვის საფუძველზე ცესკომ ქორეპისკოპოს იაკობის ქადაგების ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო. ამასთანავე, ქორეპისკოპოს იაკობის სახელზე წერილი გაიგზავნა, რომლითაც მას 5 დღის ვადაში წერილობითი მოსაზრების წარმოდგენა ეთხოვა.

ილია მეორეს მდივნის, მამა მიქაელ ბოტკოველის თქმით, იგი მეუფეს მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ვერაფერს იტყვის. „მეუფე იაკობის განცხადებების შეფასებებს არ დავიწყებ. ის გახლავთ პატრიარქის ქორეპისკოპოსი და თავად ჰკითხეთ“. – განაცხადა მამა მიქაელმა. (ფრონტნიუსი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# კოტე კუბლაშვილი თანამდებობას ტოვებს?



**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– კარგად მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდგომ რეალურად და საკმაოდ სერიოზულად დადგა საკითხი კონსტანტინე კუბლაშვილის იმპიჩმენტის შესახებ, რაც საკმაოდ რთული და გრძელვადიანი პროცედურაა, თუმცა ამაზე საუბარი შემდეგ ჩაკვდა. არადა, კუბლაშვილის სასამართლო ყველას გვახსოვს, როგორ მუშაობდა და ის მოსამართლეებიც ვიცით, რომლებიც უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. მოდით ვთქვათ, რომ ვერ შეძლებდნენ ისინი, სამართლიანები ყოფილიყვნენ, რადგანაც გარკვეულწილად მუდმივ დირექტივებს იღებდნენ და სასამართლოც მუდმივი წნეხის ქვეშ იყო, იგივე პროკურატურისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ვხედავთ, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე ისევ გარკვეული ზეწოლა ხორციელდება „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან და ამის თვალსაჩინო დასტურია ვანო მერაბიშვილის განცხადება, რომ „მოვალ და დაგიჭერთ ყველასო“, – გახსოვთ, ალბათ, რომ სწორედ ამ სიტყვებით მიმართა მან მოსამართლეებს. მსგავსი განცხადება გააკეთა ბაჩანა ახალაიამაც, რომელიც პირდაპირ მუქარაზე გადავიდა მოსამართლეებთან დაკავშირებით და პროცესზე დაადანაშაულა მისი საქმის განმხილველი მოსამართლე, რომ ის იმართებოდა უშუალოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის მხრიდან.



არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო, მაგრამ არსებობს კულუარული ინფორმაცია, რის მიხედვითაც, როგორც ჩანს, კუბლაშვილმა დაიწყო სხვა მიმართულებით მოძრაობა, რადგანაც მის მიმართ საკმაოდ სერიოზული მტკიცებულებები აქვს ხელისუფლებას იმისა, რომ იგი წარსულში სერიოზული დანაშაულების ჩადენაში არის მხილებული, ამიტომ კუბლაშვილს დიდი სურვილი აქვს, რომ პოლიტიკური ავანსცენიდან გავიდეს ისე, რომ მისი თეთრი საყელო არ შეიბღალოს.

**— რა მასალებია კუბლაშვილზე?**

– არსებობს ასეთი შპს „ნოვა“, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს და თავის დროზე სასამართლოს ყველა შენობა სწორედ ამ „ნოვამ“ გაარემონტა.

**— ვისია ეს „ნოვა“?**

– ეს შპს დააფუძნა ლევან ბეჟაშვილმა, აუდიტის ყოფილმა ხელმძღვანელმა კონსტანტინე კუბლაშვილთან ერთად, ამ „ნოვას“ მეწილე იყო ბეჟაშვილის მოადგილე თარხნიშვილი და დავით ბაქრაძის ნათესავი, ვინმე დევი ვეფხვაძე. მოკლედ, ყველაფერ ამაში, ამ სამშენებლო ბიზნესში კუბლაშვილი საკმაოდ კარგადაა ჩაფლული.

**— საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?**

– ეს ინფორმაცია მოვიძიეთ ყოფილი აუდიტის სამსახურის ნაწილობრივი ბიუჯეტის დეპარტამენტის უფროსის მაშინდელი მოადგილის ნოდარ ლიპარტელიანის მხრიდან, რომელმაც გაგვიცხადა, რომ არსებობს აუდიტის დასკვნები, სადაც იკვეთება სასამართლოს შენობებთან დაკავშირებით კუბლაშვილისა და მისი ხელქვეითების პასუხისმგებლობის საკითხი თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან და საერთოდ, ფლანგვასთან დაკავშირებით. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ახლა, საკაშვილს რომ ემართა მისდამი დაქვემდებარებული პირები, აუცილებლად არ ექნებოდა მათზე კომპრომატები? და ასეთი კომპრომატი იდებოდა თავის დროზე სწორედ აუდიტის სამსახურით, შემდეგ ეს მასალები გროვდებოდა და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ან აძლევდნენ მსვლელობას, ან თავს იკავებდნენ. აქედან გამომდინარე, დღეს იცის რა კუბლაშვილმა, რომ ეს დასკვნები არსებობს, რომ სახელმწიფოს აქვს მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება მას პრობლემები დაეწყოს კანონთან, დაიწყო დამოუკიდებელი თამაში და მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მალე ყველა ვიხილავთ მის გადადგომას და ეს შეინიღბება კუბლაშვილის ავადმყოფობით. კარგად მოგეხსენებათ, მის ამ განცხადებაში ძალიან ბევრი ვერ შეიტანს ეჭვს, რადგანაც ჯანმრთელობის პრობლემები ისედაც ჰქონდა და თავის დროზე მას ამ პრობლემის მოგვარებაში მიშა საკაშვილი დაეხმარა, რასაც დღემდე უმადლის ამ დახმარებას. აი, ეს იქნება ალიბი, რითაც უმტკივნეულოდ წავა ამ დაკავებული თანამდებობიდან და ამით ორ კურდღელს დაიჭერს კოტე კუბლაშვილი: ახალი ხელისუფლების პირობებში ის სხვა უსამართლო გადაწყვეტილებებში აღარ ჩაერევა და ამასთანავე, ის გამოვა „ნაციონალური მოძრაობის“ წნეხიდან, რადგანაც იმ გუნდში, რომლის შემადგენლობაშიც კოტე კუბლაშვილი შედიოდა, იყვნენ ახალაია, მერაბიშვილი და უგულავა, რომლებიც დღეს პირდაპირ კუბლაშვილისკენ არ იშვერენ ხელს, მაგრამ ამბობენ, დაგიჭერთ ყველასო, ეს არ არის ირიბი მინიშნება კუბლაშვილზე?

**— კი, მაგრამ „ნოლას“ ამბავი ახალმა ხელისუფლებამ არ შეიძლება გამოიყენოს კუბლაშვილის წინააღმდეგ?**

– სწორედაც ახალი ხელისუფლება დაუდებს ამ ფაქტს, რადგანაც ეს ინფორმაცია ოფიციალური აუდიტის მიერ არის დადებული, მაგრამ შერჩება თუ არა კოტე კუბლაშვილს ის ამბები, ეს სხვა საკითხია. ეს ფაქტი ახლა გამჟღავნდა და ამიტომ ჩქარობს კუბლაშვილი და უნდა ამ თამაშიდან სუფთად გავიდეს, მას აქვს გარკვეული ფინანსური შემოსავალი დაგროვილი.

**— განთავისუფლდეს და სუფთად გამოვიდეს კარგია, ამდენი უსამართლობა, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისას აკეთა, არაფერი? ეს დანაშაულები ხომ კუბლაშვილის ხელით კეთდებოდა?**

– გაიხსენეთ, რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ საკაშვილთან შეხვედრის დროს, ჩვენ ვიცით, რისი ღირსები ხართ, მაგრამ ჩვენ არ მოგექცევით შესაბამისად, რადგანაც ამას არ იმსახურებს სახელმწიფოო. გახსოვთ ეს სიტყვები? ამას სრულადაც არ ვეთანხმები და წესით, უნდა შერჩეს თუ არა, სხვა საკამათო თემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული დათმობა წავიდეს მსგავსი მაღალჩინოსნების მიმართ, ამიტომ ვფიქრობ, რომ შესაძლოა, კუბლაშვილის ბოლო ორი წლის ქმედება დაფასებული იყოს დადებითად. მაგრამ რაც შეეხება ინფორმაციას, რაც მოგაწოდეთ, ანუ მისი მშვიდობიანი გადადგომის შესახებ, ამან კულუარული წრეებიდან გამოჟონა და ეს ფაქტია.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „საკაშვილი დამპირდა, რომ გირგვლიანის მკვლელებს დასჯიდა“



თბილისის საქალაქო სასამართლოში, სანდრო გირგვლიანის საქმეზე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე დაიკითხა. როგორც ბურჯანაძემ ჩვენებაში აღნიშნა, ამ საქმესთან დაკავშირებით მას არ აქვს ღრმა და დეტალური ინფორმაცია.

„საზოგადოებამ კარგად იცის, მე არასოდეს ამით თავი არ მომქონდა და ეს არ არის თემა, სადაც ადამიანმა შეიძლება თავი მოიწონოს, ან ქულები ჩაიწეროს, მაგრამ, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, ამ ფაქტთან დაკავშირებით მქონდა უმძიმესი რეაქცია. მით უმეტეს, ქალი ვარ და შვილების დედა. პირველივე დღეებიდან ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ეს ფაქტი სიღრმისეულად გამოძიებული ყოფილიყო და დაუსჯელი არ დარჩენილიყო არც ერთი ადამიანი, ვისაც ამასთან კავშირი ჰქონდა. საკაშვილთან მქონდა საუბარი, რომელიც შემპირდა, რომ ეს აუცილებლად გამოძიებული იქნებოდა და მკვლელები დაისჯებოდნენ“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ვანო მერაბიშვილის მიმართ, მისი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ მერაბიშვილს არა მარტო ბოდიში მოეხადა, არამედ ყველაფერი გაეკეთებინა გამოძიებისთვის და თუ გამოძიებას ხელს ვერ შეუწყობდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო.

„სამწუხაროდ, მაშინ ჩემი ძალა არ ეყო ამ საქმის ბოლომდე მიყვანას. პრობლემა იყო ის, რომ გამოძიება ჩატარდა არა ისე, როგორც უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ფორმალურად ჩატარდა, ფორმალურად დაისაჯნენ ადამიანები და ყველა ჩემს მოთხოვნაზე იყო პასუხი, რომ ხალხი დასჯილია და ჩვენ ვერ დავსჯით სხვას მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არ გჯერათ ბოლომდე გამოძიებისო. სამწუხაროდ, უტყუარი ფაქტები და მტკიცებულებები არ მქონდა, რაც საქმის მიმდინარეობას შეცვლიდა“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 2 000-მდე ქართველს აფხაზეთის ე.წ. პროკურატურაში იბარებენ




ოკუპირებულ აფხაზეთის ე.წ. პროკურატურაში 2 000-მდე ეთნიკურად ქართველს იბარებენ. ამის შესახებ დე ფაქტო პარლამენტის წევრებმა ასლან კობახიამ და ახრა ბჟანიამ განაცხადეს.

„ოჩამჩირის რაიონში 2000-მდე ეროვნებით ქართველი ცხოვრობს, მათგან 1000-ზე მეტი ორ სოფელში – აჩიგვარასა და შეშელეთში, დანარჩენები კი აფხაზურ სოფლებში ცხოვრობენ. უმეტესობა მათგანი ჩვენი მოქალაქეა, ადამიანები რომლებმაც სამხედრო ბლოკადა და სამხედრო წინააღმდეგობა გამოიარეს. მათ პასპორტები კანონის შესაბამისად მიიღეს, თუმცა ადამიანებს პროკურატურაში იბარებენ. ეს ძალიან შეურაცხმყოფელია. რატომ უნდა ხდებოდეს ეს? გარდა გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლისა, ყველა დანარჩენმა პროკურორმა, მათ შორის აღმოსავლეთ აფხაზეთის პროკურორებმა კარგად იცოდნენ, რომ კომისიები უკანონოდ იყო შექმნილი, მაგრამ უცებ დაიწყო ასეთი აქტივობა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა ხალხის შეკრებისა და პროკურატურაში მიყვანის ბრძანება მიიღეს“. – განაცხადეს დეპუტატებმა. (ფრონტნიუსი)

**ჯანდაცვის სამინისტრო ახალი ბრძანების პროექტზე მუშაობს, რომელიც სასწრაფო დახმარების არამიზნობრივ გამოძახებებს დაარეგულირებს.**

**„ალიას“ ესაუბრება ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა**

# სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე შეზღუდვები დაწესდება




**დარახველიძე:**

– ნამდვილად იგეგმება ცვლილებები, რომლის მიზანიც არის, დაარეგულიროს არამიზნობრივი გამოძახებები. აქ საუბარი არ არის პაციენტთა დახარისხებაზე. აი, მაგალითად, როდესაც გამოძახების ერთი ჯგუფი გეუბნება, რომ გვყავს კომაში მყოფი პაციენტი და მეორე გამოძახებაა სიცხიან ბავშვზე, სასწრაფო დახმარებამ ხომ უნდა განსაზღვროს, რომელთან გაუშვას ბრიგადა პირველ რიგში, თუკი ლიმიტირებულია სამედიცინო დახმარების ჯგუფი? ამ სახის ცვლილებები იქნება. გარდა ამისა, არ უნდა ხდებოდეს ისეთი გამოძახებებით გადატვირთვა სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივად, პირველადი დახმარების დონეზე, ამბულატორიის ექიმმაც ძალიან წარმატებით გადაწყვიტოს დღის საათებში. როცა ლიმიტირებულია სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის ჯგუფი და ამ დროს ხდება ძალიან ბევრი გამოძახება მსუბუქ ავადმყოფობაზე, რომელიც ბინაზე გამოძახებულმა უბნის ექიმმაც შეიძლება გადაწყვიტოს, ამაზეა მხოლოდ საუბარი, თორემ ადამიანებს როგორ შევუზღუდავთ სასწრაფო დახმარების გამოძახებას?

**— იქნებ ვინმეს გული აწუხებს, ოჯახის წევრმა როგორ უნდა დაადგინოს მისი ავადმყოფობის სიმძიმე? ხომ შეიძლება სასწრაფოს მოსვლამდე გარდაიცვალოს? სარისკო გადაწყვეტილება ხომ არ არის ეს რეგულაცია ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან?**

– ნორმატიული აქტებში იქნება გაწერილი ყველა პუნქტი ისე, რომ არავის არ შეეზღუდოს უფლება და რისკებიც თავიდან იქნას აცილებული. სამწუხაროდ, მე ვერ ვისაუბრებ ჯერ იმაზე, რაც ხელთ არ მაქვს. ნორმატიულ აქტებზე მუშაობა ახლა იწყება. უბრალოდ, კატეგორიულად არ ვადასტურებ ინფორმაციას, თითქოს მოქალაქეებს ვუკრძალავთ სასწრაფო დახმარების გამოძახებას. ნორმატიული აქტები დაარეგულირებს და განსაზღვრავს, პირველ რიგში ვის სჭირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარება, მეორე რიგში – ვის და ა.შ.

არამიზნობრივი გამოძახებები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასწრაფო დახმარების ცენტრშიც, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის იმ ადამიანებსაც, ვისაც ნამდვილად ესაჭიროება სასწრაფო დახმარება.

**„ალიას“ ესაუბრება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ნინო სამადაშვილი:**

– დღეს უკვე აუცილებლობას წარმოადენს რომ დარეგულირდეს ეს პროცესი. დღე-ღამეში შემოსული 2 000 ზარიდან 70%-ზე მეტი არამიზნობრივი გამოძახებაა. სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება, უკვე მისი დასახელება გვეუბნება, რომ იძახებ ბრიგადას, როცა შენი სიცოცხლე არის საფრთხეში. რამდენიმე ხნის წინ პირადად მომწერა სოციალური ქსელის საშუალებით ძალიან გაბრაზებულმა მოქალაქემ, რომელიც მეუბნება, ხუთი დღეა ბავშვი სიცხიანი მყავს, სასწრაფო გამოვიძახე და დააგვიანაო. ხუთი დღე რომ ბავშვი სიცხიანი გიწევს, როგორც მინიმუმ, ექიმს უნდა მიაკითხო, ან ექიმი გამოიძახო. მკურნალობას ხომ მაინც ვერ დაუნიშნავს სასწრაფო დახმარების ექიმი? უბრალოდ, სიცხის გაზომვა, წნევის გაკონტროლება, ან ყურში წამლის ჩაწვეთებისთვის სასწრაფოს გამოძახება უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. როცა ადამიანს ნამდვილად სასწრაფო რეაგირება სჭირდება და ამ დროს წნევის გასაზომად იძახებ ჯგუფს, სხვა, უფრო მძიმე პაციენტს უქმნი პოტენციურ საფრთხეს. ერთმა ადამიანმა გამოიძახა სასწრაფოს ბრიგადა იმის გამო, რომ სოკო ჰქონდა ფეხზე. სასწრაფოს ექიმი მკურნალობას ხომ ვერ დანიშნავს? ამიტომაცაა საჭირო რეგულაციები, რომ არ დავდგეთ ფაქტის წინაშე, როცა ადამიანს ნამდვილად ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება და ამ დროს მანქანა არ არის.

**— შესაძლებელია, რომ წნევის ან სიცხის გასაზომად საერთოდ აღარ გავიდეს ჯგუფი გამოძახებაზე?**

– არა, შეზღუდვა არ ხდება, ნებისმიერ პირს შეუძლია გამოიძახოს სასწრაფო დახმარება, უბრალოდ ნორმატიული აქტები დაარეგულირებს, რომელ პაციენტთან გავიდეს ჯგუფი, პირველ რიგში.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს დღეის მდგომარეობით, თბილისის მასშტაბით, 13 ფილიალი აქვს, რომელიც ტერიტორიული პრინციპით არის გადანაწილებული, 80 სამედიცინო ბრიგადა კი მოქალაქეებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება.

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## თურქმა ბიზნესმენმა ჩხარტიშვილის წინააღმდეგ მოქმედების თხოვნით თურქეთს მიმართა

საქართველოს საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობით უკმაყოფილო თურქმა ბიზნესმენმა მისი ქართველი კოლეგის – ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ მოქმედების თხოვნით საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას მიმართა.

ომერ სარი უკვე რამდენიმე წელია, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისგან 3 მილიონი დოლარის დაბრუნებას მოითხოვს, თუმცა, მისი თქმით, საგამოძიებო ორგანოებში ჩხარტიშვილი ჯერ დაკითხვაზეც კი არ გამოუძახებიათ. სარის განცხადებით, ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა მას 200 000 ლარის სანაცვლოდ სარჩელის გატანა შესთავაზა, რაზეც ის არ დასთანხმდა.

„ამ თემასთან დაკავშირებით ჩემს მიერ მრავალჯერ იქნა მოწვეული პრესკონფერენცია და უკვე წელიწადზე მეტია, განცხადებები შეტანილია როგორც მთავარ პროკურატურაში, ისე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. სამწუხაროდ, გამოძიება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ერთი პერიოდი ვანო ჩხარტიშვილი საერთოდ უარყოფდა დავალიანებების არსებობას და შარშან სასამართლოს სარჩელითაც კი მიმართა ჩემს წინააღმდეგ, თითქოს მე მას ცილს ვწამებდი. ჩემ მიერ დოკუმენტების წარდგენის შემდეგ მან სასარჩელო წარმოება შეწყვიტა. ერთი თვის წინ კი მე სტამბულში ჩემს ოფისში მეწვია მისი წარმომადგენელი ლევან ჯღარკავა და შემომთავაზა გარიგება, კერძოდ, 200 000 ლარის ნაცვლად შემეწყვიტა ჩემ მიერ ინიცირებული გამოძიება. ჯერჯერობით საქართველოში სამართალს ვერ მივაღწიე, მიუხედავად სერიოზული პოლიტიკური ცვლილებებისა, რომელიც თქვენთან განხორციელდა. ამიტომ მე განცხადებით მივმართე ჩემი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს, იმოქმედონ, რათა აღდგენილი იქნას ჩემი და ჩემი ქართველი პარტნიორების შელახული უფლებები და დაცული იქნას ჩვენი კანონიერი ინტერესები“. – განაცხადა ბიზნესმენმა.

ომერ სარი შპს „პრომეტკო ჯორჯიას“, „ჯეესკოს“ და „მეტალექსის“ 5-5%-იანი წილების მფლობელია. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მაკა ასათიანი „მაესტროს“ წილის გაყიდვას უარყოფს



„მაესტროს“ ერთ-ერთი მეპატრონე მაკა ასათიანი ტელეკომპანიის წილის გაყიდვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. განცხადებას ასათიანი „ფეისბუკზე“ აქვეყნებს:

„ერთ-ერთმა გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია თითქოს მე ვყიდი „მაესტროს“ წილს და რომ მყიდველი არის ქართველი ბიზნესმენი. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის სიმართლე, არ იგეგმება წილის გაყიდვა და ეს საკითხი დღის წესრიგშიც არ დამდგარა. „მაესტროს“ გუნდთან ერთად ვგეგმავთ უამრავ სიახლეს და ვემზადებით ახალი სეზონისთვის“, – წერს ასათიანი. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# რას უმზადებს საზოგადოებრივი მოძრაობა ბიძინა ივანიშვილს?



**„ალიას“ „თეთრების“ ლიდერი, „სახალხო კრების“ წევრი თემურ შაშიაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო თემურ, 8 ივლისის შეკრების შემდეგ რაზე შეთანხმდით და რა დაგეგმეთ?**

– ჩვენ ვიწყებთ პროცესს, რომელიც ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის ჩვეულებრივი პროცესია. ხელისუფლება უნდა ექვემდებარებოდეს ხალხის კონტროლს, დიდი ხანია, ხელისუფლება გასულია ხალხის კონტროლიდან. ამიტომ ჩვენი ამოცანაა ძალიან კონკრეტული, ერთხელ და სამუდამოდ ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ის არის დაქირავებული, ის კი არის მსახური იმისა, ვინც აირჩია. დღეს საქართველოში ნუმერაცია მისცეს პოლიტიკურ ძალებს, მე არ ვიცი, რომელია პირველი და მეორე პოლიტიკური ძალა. თუ არჩევნები არის იმის დადასტურება, როგორი პოლიტიკური განწყობაა ქვეყანაში, მაშინ ეს არჩევნები ყოფილა უნდობლობის რეფერენდუმი, რადგან, როგორც პირველ, ასევე მეორე არჩევნებზე 60-70% არ მისულა. ქუთაისში ხალხი მეუბნებოდა, ნუთუ ასეთი მიამიტი ხართ, რომ გჯერათ, არჩევნები არ გაყალბდება და ხელისუფლებას ამ არჩევნებით შეცვლითო. ზოგი მეუბნებოდა, კი, პატივს გცემთ, მაგრამ იცოდეთ, არჩევნებზე არ მოვალთ, 6 მილიარდის პატრონი მოვიდა და ერთი დაპირება არ შეუსრულებიაო. ვნახე, რომ სულ სხვა განწყობაა ხალხში, ვიდრე ეს პოლიტიკურ ლიდერებსა და ინტელიგენციას ჰგონიათ. „ნაციონალების“ თავგასულობა, ხელისუფლების თვითკმაყოფილება და საქართველოს მოქალაქეების მზარდი უკმაყოფილება არის კონფლიქტის გზა. ამის შედეგი იქნება კატასტროფული. ხალხი ელოდა რადიკალურ ცვლილებებს, ხელისუფლება კი თვლის, რომ დაპირებები გადაჭარბებით შეასრულა. ხალხი მოითხოვდა „ნაციონალების“ გასამართლებას, მოხდა პირიქით.

**— ახლა, როცა მთელი სახელმწიფო მანქანა ერთი პოლიტიკური ძალის ხელშია და „ნაციონალების“ მხრიდან ხელის შეშლას ვერ მოიმიზეზებს ვერც ადგილობრივ დონეზე, რას გააკეთებს ხელისუფლება, ახალ მიზეზს მოძებნის?**

– დღეს ხელისუფლებას შეუძლია, ხალხს უთხრას, ჩემთან რა გინდათ, ეს საკრებულო ხომ თქვენ აირჩიეთო. ხელისუფლება უკვე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. სინამდვილეში კი არავინ არ აურჩევიათ, ისევ ბიძინა ივანიშვილის ხათრით მოიყვანეს ხალხი და მეტსაც გეტყვით, უშიშროებამ ჩაატარა არჩევნები საქართველოში. რაც არ უნდა ისაუბრონ, დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნებიო, ყველამ ვიცით, რომ უშიშროებამ ჩაატარა. რა საქმე აქვს არჩევნებთან უშიშროებას? აფრიკის ქვეყნებშიც კი იშვიათია, რომ ერთი პარტია იყოს ქვეყნის ხელისუფლებაში ყველგან წარმოდგენილი. ბატონებო, ხალხის განწყობა არ არის ისეთი საქართველოში, რომ ყველა ქალაქსა და რაიონში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყოს ყველა. ამის დასტურია ის, რომ არჩევნებზე არ მივიდა უმრავლესობა. შემრცხვებოდა, მარტო მე რომ ავერჩიე ხალხს, რადგან არსად საქართველოში არ აქვს სხვა ძალას გამარჯვების შანსი და მერე ხალხი იტყოდა, შეკრული იყო ხელისუფლებასთან, იმიტომ გაიყვანესო. არ არსებობს არც ჟურნალისტური, არც არასამთავრობო კორპუსი, რომელიც კონტროლს გაუწევს ხელისუფლებას, გეუბნებით, შიშის ზარს მგვრიდნენ ეს ადამიანები, როცა გუბერნატორი ვიყავი. მათ პულსზე ეჭირათ ხელი. ახლა სხვაგვარად არის ყველაფერი, გამეფდა მონური ფსიქოლოგია. ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ იცის, როგორ უნდა აკონტროლოს ადგილზე მდგომარეობა, სამაგიეროდ პულსზე ხელი აქვს უშიშროებას. ვინ მოიყვანა უშიშროებამ? 80% არის კომპრომეტირებული ადამიანი, რომელთაც 26 მაისი სისხლში ჩაახშვეს. იარაღით, „დუბინკებით“ გვებრძოდნენ და ეს ხალხი მოვიდა საკრებულოში. ესენი არიან „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და სოროსელების საზოგადოება, პირობითად ჰქვიათ მათ „ნაციონალური მოძრაობა“, თორემ ამ ხალხს პარტიულობა არც აქვთ. პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობენ არა იმიტომ, რომ პარტია შეიცვალონ, არამედ იმიტომ, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგია შეიტანონ. ეს კი დიდი დამსახურებაა ივანიშვილის. გაოგნებული ვარ, ისეთი სიამაყით აცხადებს ნარმანია, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ვიყავიო. გამოიკვლიონ, რა დაფინანსება ჰქონდა ამ ორგანიზაციას გარედან. ამ ადამიანებმა, რომლებსაც მილიონებით აფინანსებენ, კარგად იციან, რომ, თუ ეს სკოლა არ გაიარეს, ხელისუფლებაში ვერ მოხვდებიან. გამოცდილების გარეშე არსად ფასობს იურისტი და ეკონომისტი, აქ კი ყველა ხელისუფლებას თავზე დაასვეს ახალგაზრდა იურისტები, ადვოკატები და ეკონომისტები. კანალიზაციის მილს აკეთებს გამოცდილი ადამიანი, თავზე ადგას 23-25 წლის ახალგაზრდა და ბრძანებებს აძლევს. აი, ესაა გამეფებული ქვეყანაში. ჩემი ამერიკელი მეგობრები იცინიან და ამბობენ, მონური ქვეყანა ხართ და დასავლეთი რასაც გკარნახობთ, იმას აკეთებთ, ჭკვიან, გამოცდილ ხალხს კი არ უსმენთო. ხელისუფლება ყველაფერზე აგებს პასუხს და კონკრეტულად არაფერზე, თავის ფუნქციას არ ასრულებს და გამოცდილი ადამიანების დისკრიმინაციას საზღვარი არ აქვს. უფროსებად დადგნენ ადამიანები, ვინც საქმე არ იცის. ეკონომისტი და ფინანსისტი დავით იაკობიძე, რომელმაც არ დაუჯერა დასავლეთს, გააშვებინეს შევარდნაძეს. მერე მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც



**„გაოგნებული ვარ, ისეთი სიამაყით აცხადებს ნარმანია, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ვიყავიო. გამოიკვლიონ, რა დაფინანსება ჰქონდა ამ ორგანიზაციას გარედან. ამ ადამიანებმა კარგად იციან, რომ, თუ ეს სკოლა არ გაიარეს, ხელისუფლებაში ვერ მოხვდებიან. აქ ყველა ხელისუფლებას თავზე დაასვეს ახალგაზრდა იურისტები, ადვოკატები და ეკონომისტები. კანალიზაციის მილს აკეთებს გამოცდილი ადამიანი, თავზე ადგას 23-25 წლის ახალგაზრდა და ბრძანებებს აძლევს. აი, ესაა გამეფებული ქვეყანაში“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# „ივერიაბეთმა“ გათამაშების გამარჯვებულებს პორშე მაკანი და სხვა სოლიდური პრიზები გადასცა

ინტერნეტ ტოლალიზატორმა „ივერიაბეთმა“ წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებულები დააჯილდოვა. პრიზების გადაცემის ცერემონია „ივერიაბეთის“ ტოტალიზატორში, რუსთაველის №31/13-ში გაიმართა.

„ივერიაბეთის“ გათამაშების ყველაზე იღბლიან გამარჯვებულს ნიკა კაკოიშვილს 100 000 ევრომდე ღირებულების პორშეს უახლესი მოდელი ავტომობილის – „მაკან ტურბოს“ გასაღები საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

„ივერიაბეთის“ გათამაშების შესახებ მეგობრისგან შევიტყვე, იმედი მქონდა, რომ რაიმე პრიზს მაინც მოვიგებდი, რადგან საკმაო რაოდენობის ბილეთები დავაგროვე. დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან განსაკუთრებული და ემოციურია“, – განაცხადა მანქანის მფლობელმა ნიკა კაკოიშვილმა.

მთავარი პრიზის გარდა, იღბლიან მოთამაშეებს სხვა სოლიდური საჩუქრებიც გადასცეს: 10-დღიანი საგზური მალდივის კუნძულებზე (5-ვარსკვლავიან სასტუმროში ორ პიროვნებაზე) და უზარმაზარი 140 სმ ეკრანიანი **3D** ტელევიზორი, „სამსუნგის“ ახალი მოდელის კინოთეატრთან ერთად. ასევე, სამი ცალი 1-კვირიანი საგზური ბათუმის „რადისონში“ (2 პიროვნებაზე), სამი ცალი **Ipad air 4G** და სამი ცალი **Samsung S5**.



„ეს არის ინტერნეტ ტოტალიზატორ „ივერიაბეთის“ პირველი გათამაშება, ვულოცავ ჩვენს იღბლიან გამარჯვებულებს და წარმატებას ვუსურვებ. გპირდებით, რომ „ივერიაბეთი“ მომხმარებელს მსგავს გათამაშებებსა და კონკურსებს სისტემატურად შესთავაზებს“, – განაცხადა „ივერიაბეთის“ მარკეტინგის მენეჯერმა თათუკა ჯავახიშვილმა.

„ივერიაბეთის“ გათამაშება 15 ივნისს დაიწყო და 5 ივლისს დასრულდა. ხოლო გამარჯვებულები, პირველი არხის პირდაპირ ეთერში, 13 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაწყების წინ გამოვლინდნენ. სპეციალურ დოლურაში მოთავსებული ნახევარ მილიონამდე ბილეთიდან, 12 ბილეთი მომგებიანი იყო.

გრანდიოზული გათამაშების გარდა, „ივერიაბეთის“ „ფეისბუკის“ გვერდზე, მუდმივად იმართება მინიკონკურსები. მაგალითად, 13 ივლისს ასევე გამოვლინდა **Iveriabet FanApp** კონკურსის გამარჯვებული, რომელიც მიიღებს 5,000 ლარს „ივერიაბეთისგან“. ასევე, მოთამაშეებს შესაძლებლობა აქვთ, შექმნან საკუთარი ფსონები და იხილონ ისინი კომპანიის ვებ-გვერდზე.

სპორტული ინტერნეტ ტოტალიზატორი „ივერიაბეთი“ „სამორინე ივერიას“ ახალი ინტერნეტპროექტია. ვებ-გვერდი **iveriabet.com** ოფიციალურად 2014 წლის 5 ივნისს გაიხსნა და ბაზარზე წარმატებით და აქტიურად ვითარდება.

*მეხუთე გვერდიდან*

მორჩილები იყვნენ, რომლებიც ადვილად დაუპირისპირდებოდნენ ძველ თაობას და თაობათა ერთიანობას დაჩეხავდნენ ამ ფორმით. ეს ტენდენციაა დღეს საქართველოში. ყველაფერი კეთდება ნასესხები ფულით და იმასაც კორუფციული გზებით ითვისებენ, მერე კი არც ეკონომიკა გვაქვს წინ წასული და ვალების გადახდა მოუწევს ჩვენს მომავალ თაობას. წინა ხელისუფლება იპარავდა, მოვიდა ახალი ხელისუფლება, იგივე გაგრძელდა. ესენი ვეღარ მოსთხოვენ პასუხს წინა ხელისუფლებას, როგორც ის აკეთებდა, ესეც ისე აკეთებს ყველაფერს. ადგილებზე საოცარი შეთანხმებაა „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის. მეტსაც გეტყვით, ოპოზიციურ პარტიებს რომ წარმოადგენენ ზოგიერთები, იმათი წარმომადგენლებიც შეკრულები იყვნენ მათთან.

**— კონკრეტულად?**

– ნახეთ, ვის დაუჭირეს მხარი რუსთავში? ამგვარი ფაქტები ხშირი იყო, რადგან ისინი არ იყვნენ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც ისინი დაასახელეს. უშიშროების შემოგდებული იყო ბევრი, რადგან, როგორც გითხარით, ის მართავდა სიტუაციას ადგილებზე. ნარკომანებით გაივსო ადგილობრივ დონეზე საკრებულოები, გავა დრო და მე ვიქნები ერთ-ერთი ინიციატორი იმისა, შემოწმდნენ ეს ადამიანები. ბევრი რამის დადასტურება ძნელია, მაგრამ ნარკომანიაზე შემოწმება ხომ შესაძლებელია? მე რომ ღარიბაშვილი ვიყო, კანონს მივიღებდი, ვინც მოხვდა საკრებულოში, ნარკოტესტის გავლა ყველასთვის აუცილებელი იყოს. ნაცვლიშვილზეც ხომ დადასტურდა ის, რასაც ხალხი ამბობდა მასზე? ბევრი რამ წამოტივტივდება კიდევ.

**— ბატონო თემურ, მინდა შეკრებას დავუბრუნდე, თქვენ მოუწოდეთ ივანიშვილს, გამოდით თავისუფლების მოედანზე და ხალხს ანგარიში ჩააბარეთო, საარჩევნო პროგრამიდან რა შეასრულეთო. შეუთვალეთ უკვე?**

– არავის არაფერს ვუთვლი, ყველა პოლიტიკოსს, ვისაც პოლიტიკური კულტურა აქვს და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს, ასი დღე რომ გავა, ანგარიში უნდა ჩააბაროს ხალხს. გავიდა 2 წელი და დროა უკვე ამ ანგარიშის ჩაბარების. ამ 2 წლის თავზე უნდა ჩატარდეს ნდობის რეფერენდუმი.



„ბიძინა ვერ იტანს, ვინმე რომ რამეს ურჩევს, მას ისინი უყვარს, ვინც თავს უკრავს, ბუქნაობს, ვინც აქებს. როგორც წინა პრეზიდენტები დაღუპეს მედროვეებმა, ამ კაცსაც ეგენი დაღუპავენ. ქვეყანაში მედროვეების დრო გრძელდება“

**— თუ არ გამოგეხმაურათ ივანიშვილი, რას აპირებთ, რამე გაქვთ დაგეგმილი?**

– რა თქმა უნდა. „ოცნება“ რომ ამბობდა, ყველაფერი უფასო იქნება, ოღონდ ამირჩიეთო, ამაზე ხალხს უნდა პასუხი, რა მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. ამ დროს, ბიძინას შეეძლო ამ ყველაფრის გაკეთება, ესენი კი რისი გამკეთებლები არიან? აგვისტოში და უფრო მეტად სექტემბერში, როცა მასალას გამოვაქვეყნებთ, დაიწყება ხელმოწერები. 1-ელ ოქტომბრამდე დაინიშნება შეკრების დღე, დავარიგებთ ამ მასალას, შემდეგ ტრიბუნაზე გამოვა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ენდო საქართველო და მან უნდა გასცეს ყველა კითხვას პასუხი. სხვასთან ჩვენ პრეტენზიები არ გვაქვს. როცა შევიკრიბებით, გადაწყვეტილება იქნება მიღებული პუნქტების მიხედვით, პარტიულობის ნიშნით არ ვიკრიბებით, მეცნიერები, ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები იქნებიან ამ შეკრებაში. თუ არ მოვა ბევრი ხალხი, პირისპირ სადმე შეხვდეს მათ ივანიშვილი და გადაიცეს ტელევიზიით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რახან გადაწყდა ყველაფერი ორი წლის წინათ 1-ელ ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე, ანგარიშიც ამავე ადგილზე იქნას ჩაბარებული. არაფერს ვითხოვთ ისეთს, რაც არ მოუთხოვიათ სხვა ქვეყნებში. ბიძინა ვერ იტანს, ვინმე რომ რამეს ურჩევს, მას ისინი უყვარს, ვინც თავს უკრავს, ბუქნაობს, ვინც აქებს. როგორც წინა პრეზიდენტები დაღუპეს მედროვეებმა, ამ კაცსაც ეგენი დაღუპავენ. ქვეყანაში მედროვეების დრო გრძელდება.

**— ეს ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ იწყება მოძრაობა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით?**

– ამას პროცესი აუცილებლად თავისთავად მოიტანს. მთელი ევროპა საუბრობს, რომ ჩვენ ახალი საბჭოთა კავშირისკენ მივდივართ, ჩვენ კი გვიხარია. ყველაფერზე პასუხი გვინდა 1-ელ ოქტომბერს. ბიძინამ უნდა თქვას, ხალხი რატომ არის იმედგაცრუებული და გრძნობს თუ არა ამის გამო პასუხისმგებლობას?



„მე რომ ღარიბაშვილი ვიყო, კანონს მივიღებდი, ვინც მოხვდა საკრებულოში, ყველასთვის ნარკოტესტის გავლა აუცილებელი იყოს. ნაცვლიშვილზეც ხომ დადასტურდა ის, რასაც ხალხი ამბობდა მასზე? ბევრი რამ წამოტივტივდება კიდევ“

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რამდენიმე საწარმო და რესტორანი დააჯარიმეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა კრიტიკული შეუსაბამობების გამო თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, წყალტუბოსა და გურჯაანში რამდენიმე საწარმოსა და რესტორანს საწარმოო პროცესი შეუჩერა.

შემოწმდა ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე „ფუდმარტი“ და ნიკეას ქუჩაზე ხორცის სარეალიზაციო ობიექტი შპს „უხვი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვილიშორში შპს „ქალაქური 2013“-ის კუთვნილი რესტორანი, სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე ნაყინის საწარმო შპს „მყინვარი“, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ი/მ „ბერდია ქიტუაშვილის“ ნახევარფაბრიკატების საწარმო და თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე შპს „ჯაზას“ პურის ქარხანა.

აღნიშნულ საწარმოებში გამოვლინდა კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობები: ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობის, სანიტარიული ნორმებისა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა; ბიზნესოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს პროდუქციის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი კვლევის ოქმები; შენობები არ იყო დაცული მღრღნელებისა და მწერებისგან.

აღნიშნული დარღვევების გამო ბიზნესოპერატორებს – სს „ფუდმარტს“, შპს „უხვს“, შპს „ქალაქური 2013“-ს, ი/მ „ბერდია ქიტუაშვილსა“ და შპს „ჯაზას“ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფშაველი-ომალოს გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



კახეთის რეგიონში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 8კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 3 მილიონ 663 ათას 116 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი“ ასრულებს.

8კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის 4 აპრილს დაიწყო და წლის ბოლომდე დასრულდება. ამ დროისთვის, მიმდინარეობს რეციკლირების, ასფალტის საფარის დაგებისა და მონაკვეთზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზას სტრატეგიული მნიშვნელობისაა. იგი იწყება სოფელფ შაველის (საავტომობილო გზის ახმეტა-ყვარელი-ნინიგორი-ლაგოდეხის მარცხენა მიერთება 22-ე კმ-ზე) და მთავრდება სოფელ ლეჩურის ტერიტორიაზე. აღნიშნული წარმოადგენს ერთადერთ დამაკავშირებელ გზას დაბა ომალოსთან და უნიკალური ტურისტული მნიშვნელობის ტერიტორიებთან, შესაბამისად, გზა გამოიყენება, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ტურისტული დანიშნულებით. (ნიუპოსტი)

## ლიანა ასათიანი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს



მსახიობის დაკრძალვას საზოგადოების ცნობადი სახეები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ასევე პოლიტიკოსები ესწრებოდნენ.

„გარდა მისი მეფური სილამაზისა და არაჩვეულებრივი ნიჭისა, ლიანა ასათიანი კარგი დედა და ოჯახის დიასახლისი იყო, რაც იმდროინდელ სტერეოტიპში არ ჯდება“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

ლიანა ასათიანი 8 ივლისს გარდაიცვალა. (რეპორტიორი)

მამა ელიზბარი:

# „სავარაუდოდ, პატრიარქი იზოლაციაში ჰყავთ“





„მეუფე იაკობი არის აწ გარდაცვლილი გელა ლანჩავას მარჯვენა ხელი და თანაშემწე, მაგრამ ამ პიროვნებამ, ამჟამინდელმა მეუფე იაკობმა გაისიგრძეგანა და გააანალიზა თავისი ცხოვრება და დღეს ის ქორეპისკოპოსი გახლავთ და როგორი ხმალამოღებულიც ადრე იყო ცდომილებაში, ისე დღეს ჭეშმარიტებაშია ხმალამოღებული“

**„ალიას“ ესაუბრება წმინდა სამების ტაძრის მოძღვარი, მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

– დღეს რომ ეკლესიაში ხდება, დავით აღმაშენებლის დროს არ ხდებოდა, უზნეობა და უსაქციელობა. მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, ფულს მოგცემთო, თქვი, რამდენი გინდა და გაჩუმდიო. მაპატიოს მკითხველმა, და ამის მთქმელს ვუპასუხე, რომ შეეტენათ ეს ფული ერთ ადგილას.

**— ვინ შემოგთავაზათ თანხა?**

– გვარი დავასახელო? და როგორ ფიქრობთ, რაც ქვეყანაში დოლარი და ევროა, მეყოფა იმისთვის, რომ საქართველო გავყიდო? არ მოჭრილა ეგ ფული ჯერ! არადა, მითხრეს, გაჩუმდი და აგამაღლებთ ხარისხშიო.

**— ვიმეორებ, ვინ გთავაზობთ?**

– ეპისკოპოსები და დავრწმუნდი, რომ მართლა ძალიან ცუდადაა ჩვენი საქმე. გეტყვით, დღეს რა ლექსი დავწერე: „წიგნის მკითხველთ წაუკითხავთ დოსტოევსკის „იდიოტი“, რუსს რომ სამ ასოზე ვუშვებთ, ის წინ გვდევნის, იდიოტი! ჩვენ ჩუმად ამოვიკნავლებთ, მიდიო-ტი, დოსტოევსკი ერთს ტიროდა, მე ერი მყავს იდიოტი“. რა, არ არის იდიოტი ჩემი ერი? საუბედურო სიტუაციაში ვართ და ვიმეორებ, არ არსებობს მსოფლიოში თანხა ერთად შეკრებილი, რაც სამშობლოს გამაყიდვინებდა. არადა, ეგენი ყოველ ნაბიჯზე მოღალატეობას სჩადიან და იგივე მომინდომეს მეც – ქვეყნის გაყიდვა. და რა, არ ყიდიან? არ გიგრძვნიათ ეს გაყიდვა? მეუფე იაკობის წინააღმდეგ რომ ააგორეს ეს ბინძური ამბავი, ეს არ არის საშინელება?

„არა არსს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოსო“, ნათქვამია და მოდით, აქედან დავიწყოთ. მეუფე იაკობი არის აწ გარდაცვლილი გელა ლანჩავას მარჯვენა ხელი და თანაშემწე, მაგრამ ამ პიროვნებამ, ამჟამინდელმა მეუფე იაკობმა გაისიგრძეგანა და გააანალიზა თავისი ცხოვრება და დღეს ის ქორეპისკოპოსი გახლავთ და როგორი ხმალამოღებულიც ადრე იყო ცდომილებაში, ისე დღეს ჭეშმარიტებაშია ხმალამოღებული.

**— საკმაოდ პირდაპირი და უკმეხი იყო „ნაციონალებთან“ მიმართებაში, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ტექსტით მიმართა მათ.**

– აი, მაგ „ნაციონალებთან“ უკმეხობისთვის სასამართლომ დაუდგინა 50000 ლარი ჯარიმა გადასახადად. ცესკომ უჩივლა და მოუგო, აგერ დღეს-ხვალ გადასახდელი აქვს მეუფეს ეს ფული. ამ დროს, ცესკომ კი არ მოუგო, სატანამ მოუგო. გახსოვთ, ალბათ, მეუფე ამბობდა, ესენი, „ნაციონალები“ ის ხალხია, კვერცხი რომ უნდა ესროლოო და ეს რა გვაკადრეთო და იაკობმა თანხა უნდა გადაუხადოს! და ჩემი აზრი თუ გნებავთ, იცოდეთ, მეუფე იაკობმა კაპიკი არ უნდა გადაიხადოს.

„რაც ამ დღეებში კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით განაცხადეს, ეგ მეც მოვისმინე, ეგენი მეუბნებიან, რომ მოგატყუე, მაგ ტყუილს ვწყვეტ ამა და ამ დღეს და რით დამაჯერებენ, რომ ტყუილს წყვეტენ? „ქოცი“ რომ ვარ და თუ გავრიგდი დასაწყისში, რომ შენზე ვიღებ პასუხისმგებლობას, მე მოგივლი და გიპატრონებ და შენზე ვიზრუნებო, ერთი წლის შემდეგ ბოდიშს რომ გიხდი, კი გითხარი მაშინ, მაგრამ, შემომიძვრა ეშმაკი, მოგატყუე და აწი არ მოგატყუებ-მეთქი, როგორ დაგიჯერო?“

**— ეგეთი აქამდე არაფერი მინახავს, ცესკოს სასულიერო პირისთვის ეჩივლა.**

– არ გინახავთ? და ის გინახავთ, დოლად რას ხმარობენ ბერას ტელევიზიაში? „ბანი“ რომაა ანსამბლი, ქალები რომ ჰყავთ ჩაკუზული და რამპიტაური რომ მიდის? ამას რომ ვამბობ, მე, ერთ უბრალო პირს, მრცხვენია, მაგრამ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ხელის მოწერამ, რაც იმ ახვარმა პარლამენტარებმა გააკეთეს, ე, იმან გამოიწვია „ჯიდიესის“ ეს ამბავი! და იცით, ხალხმა რა დაარქვა ამ ჯგუფს? ამ „ბანს“?

**— გული ცუდს მეუბნება და რა დაარქვეს?**

– მაპატიოს უფალმა, „ტრაკბანი“! და ეს გოგონები ვინ არიან თუ იცით?

**— სახე არ ჩანს კადრში და ნამდვილად ვერ ამოვიცანი.**

– გეტყვით, ცნობილი მსახიობის ცოლია ის წითელთმიანი და ცნობილი პროდიუსერის ცოლია ჯინსის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## SmartPAY — ლიბერთი ბანკის მარტივი მობილური საბანკო ფუნქცია უკვე ყველა მობილური ოპერატორის ქსელიდან ხელმისაწვდომია

2014 წლის 15 ივლისიდან ლიბერთი ბანკის ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება, ყოველგვარი დამატებითი პროგრამის დაყენების გარეშე, მათზე ბანკში რეგისტრირებული ტელეფონის ნომრიდან აკრიფოს ***166# OK** და მარტივად განახორციელოს ძირითადი საბანკო ოპერაციები.

**SmartPAY** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ელექტრონული პროდუქტია ქართულ ფინანსურ ბაზარზე და მას უკვე 200,000-ზე მეტი უნიკალური მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც თვეში 500,000-ზე მეტ ოპერაციას ახორციელებენ

ბანკში მათზე რეგისტრირებული ნომრიდან ***166# OK** აკრეფით, ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს უკვე მარტივად შეუძლიათ:

- **დღე-ღამის ნებისმიერ დროს** გააკეთონ განაცხადი სწრაფ სესხზე, ხოლო ბანკის გადაწყვეტილება და, დადებითი პასუხის შემთხვევაში, თანხა 50 წამის განმავლობაში მიიღონ;
- შეავსონ როგორც საკუთარი, ისე სხვა აბონენტის მობილური ტელეფონის ბალანსი სრულიად **უფასოდ**;
- გადარიცხონ თანხა მარტივად დღე-ღამის ნებისმიერ დროს – მხოლოდ მიმღების მობილური ტელეფონის ან პირადი ნომრის მითითებით;
- ერთი ოპერაციით გადაიხადონ **S**მარტივი კალათაში არსებული 7 სხვადასხვა პროვაიდერის დავალიანება.
- გადაიტანონ თანხა **S**მარტივი ანგარიშიდან **eMoney** საფულეზე და პირიქით.



CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

მოკლე შარვლიანი და მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, თორემ ეგეც ვიცი. როგორც მითხრეს, ამ მსახიობებს კაი მაყუთი აქვთ აღებული ივანიშვილის ტელევიზიიდან, დუნდულებზე რომ დაეკრათო. აი, ასე!

**— მაგ საკითხზე დიდი ხნით გაჩერება არ ღირს და სხვა კითხვას დაგისვამთ: დასრულდა არჩევნები და როგორც იქნა, ეს ყვითელი ჭირი, რასაც ჰქვია „ნაციონალები“ მოვიშორეთ.**

– და იქნებ არც მოვიშორეთ და პირიქით, იქნებ დავიმატეთ? ჩემი აზრით, არ მოგვიშორებია და „ნაცებს“ დაემატნენ „ქოცები“. სევდია უგრეხელიძე უკვე საკრებულოშია გამოჭიმული და მისი წევრია, უკვე უმცირესობაშია და ოპოზიციაშია! აცხადებენ, აღარ ვართ კოჰაბიტაციაშიო და ნეტა, როდის აქეთ? და კითხვა მაქვს, რატომ დაიწყე მაშინ თავიდან ეს კოჰაბიტაცია? რაც ამ დღეებში კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით განაცხადეს, ეგ მეც მოვისმინე, მაგრამ ეგენი მეუბნებიან, რომ მოგატყუე, მაგ ტყუილს ვწყვეტ ამა და ამ დღეს და რით დამაჯერებენ, რომ ტყუილს წყვეტენ? „ქოცი“ რომ ვარ და თუ გავრიგდი დასაწყისში, რომ შენზე ვიღებ პასუხისმგებლობას, მე მოგივლი და გიპატრონებ და შენზე ვიზრუნებო, ერთი წლის შემდეგ ბოდიშს რომ გიხდი, კი გითხარი მაშინ, მაგრამ, შემომიძვრა ეშმაკი, მოგატყუე და აწი არ მოგატყუებ-მეთქი, როგორ დაგიჯერო?

**— კი, გეთანხმებით, მსგავსი ვითარება ნამდვილად იყო.**

– ხოდა, დამთავრებულია, მითხარით, ახლა როგორ დავუჯერო? მაგიტომაა სისულელე. ახლა ისეთი სიტუაციაა, საქართველოს გადარჩენა ეკლესიის გადარჩენას უდრის და პირიქით, ეკლესიის გადარჩენა ჩემი ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს. ჩემი აზრით, ეკლესიიდან უნდა იწყებოდეს ეს პროცესი, ეკლესია კი დამხობილია და რომ მივდივარ საზღვარგარეთ, ცოტა ხანი მინდა, სხვა თვალით შევხედო ჩემს ქვეყანას.

**— რომელ ქვეყანაში მიდიხართ?**

– ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში და იქ გავაგრძელებ ჩემს საქმეს, მაგრამ საქართველოში რომ ვიქნები მაინც, ეს ზუსტად ვიცი.

**— ორი დღის წინ დაკრძალეს ედუარდ შევარდნაძე...**

– (მაწყვეტინებს) მისი სიცოცხლის დროს რა მივიღეთ და სიკვდილით რაღას მივიღებთ? გვაჩვენეს კადრები, რომ შევარდნაძე ეზიარა სიკვდილის წინო, მაგრამ რას ეზიარა? რა, ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა? მერე, მიიღო უფალმა ნაზიარები მისი სული? და თქვენ იცით, რომ ლენინიც ეზიარა სიკვდილის წინ? ეზიარა! სიკვდილის წინ თურმე დადიოდა და ყველას და ყველაფერს პატიებასა და შენდობას სთხოვდა, მათ შორის გრაფინს, სკამს, ჭიქას... ლენინმა სიკვდილი რომ იგრძნო და მიხვდა, ამის იქით არაფერი მეშველებაო, უთხოვია ზიარება, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ლენინის სული მიიღო უფალმა? ან შევარდნაძე მიიღო უფალმა? სხეული მიიღო მიწამ, მაგრამ სული მიიღო უფალმა? რა არის, იცით, ქართველების უბედურება? ვიღაცის ლენინს ვაგინებთ, მაგრამ ჩვენს სატანას - არა. რა გვარი იყო სატანის მიმდევარი, რა მნიშვნელობა აქვს? ორჯონიკიძე, შევარდნაძე, დიაკონიძე... რა მნიშვნელობა აქვს? ღმერთსა და სამშობლოს რომ უღალატა, ეს ცოტაა? მეტი რა უნდა გაგიკეთოს?

**— მისი უწმინდესობა პატრიარქი დაკრძალვას არ ესწრებოდა.**

– უნდა გითხრათ, რომ მისი უწმინდესობა ძალიან ცუდ სიტუაციაშია, შეუძლოდ არის და შევარდნაძის დაკრძალვაზე ვერ ჩამობრძანდა, როგორც ცნობილი გახდა, ექიმმა არ ურჩია წამოსვლაო. მაგრამ კითხვას ვსვამ: იმ ექიმს ვინ უთხრა, რომ ასე უთხარი პატრიარქსო? ეგებ ესეც არის საყურადღებო? იქნებ ის ექიმი დაარიგა ვიღაცამ, რომ არ წამობრძანებულიყო პატრიარქი?

**— რატომ?**

– ეს ჩემი აზრია, მაგრამ იქნებ პატრიარქის საქართველოში დაბრუნება არ სურს ვინმეს?

**— ეგება და მართლაც შეუძლოდაა პატრიარქი?**

– შევარდნაძეს კათალიკოსი დიდ პატივს სცემდა, მისი ნათლული იყო და სიტუაცია ისე ჩანს, სავარაუდოდ, ის იზოლაციაში ჰყავთ. სულ მეფიქრება ის მდგომარეობა, რაშიც აღმოვჩნდით და კითხვას ვსვამ კიდევ: ვინმეს ამ ქვეყანაზე გული შესტკივა რეალურად? ვინმეს უნდა, საქართველოს თავისი დიდება დაუბრუნოს? სიმართლის თქმას რატომ გადავეჩვიეთ?

**— სიმართლე რომ ვთქვით, აგერ, კობერიძემ 50 000 ლარი გადაგვახდევინა და ახლა „ასავალ-დასავალისგან“ ითხოვს კიდევ 70 000-ს! ააწყო კაცმა ბიზნესი.**

– (ყვირის) ოთარ კობერიძის, თუ კობრა-იძის ჯიში ნამეტანი მყრალ სუნს იძენს! ოთარ კობერიძე არის ახვარი კაცი და ძალიან გთხოვთ, ეს დამიწერეთ და არ შემირბილოთ! ძუკნა კაცი ჰქვია მაგნაირ კაცს, ეგ რასაც სჩადიოდა და უხარია, რომ ვერ ვთქვით იმ გოგონების გვარები, იცოდეს, რომ ვერ ვთქვით კი არა, არ ვთქვით და დიტო ჩუბინიძე არ გახლავთ ის პიროვნება, ასე ადვილად წამოეგოს ანკესზე. კობერიძე ის კაცია, დათა თუთაშხიამ რომ ურმიდან ჩააგდო: ჩადი ძირს, ყუფარია მათხოვაროო! აი, ეგ მათხოვარია კობერიძე! ლია ელიავას სულმა მაპატიოს, რადგანაც უნდა ვახსენო, საზოგადოებაში ცნობილია ფაქტები, რომ ეს კაცი მეუღლეს ავალებდა მისი საქმეების მოგვარებას. სთხოვდა, მიხედე საქმეს, ოღონდ აქ არ მოვიდნენო და ახლა კიდევ აქვს რამე სათქმელი?

**კომენტარისთვის შევეცადეთ, პატრიარქის მდივანს, მამა მიქაელ ბოტკოველს დავკავშირებოდით, რომლის ტელეფონიც გამორთული დაგვხვდა. ამის შემდეგ დავუკავშირდით საპატრიარქოს პრესმდივანს, მამა დავით შარაშენიძეს:**

**— მამა ელიზბარი ამბობს, რომ პატრიარქი სავარაუდოდ, იზოლაციაშია...**

– საპატრიარქო კომენტარს არ აკეთებს, მანდ რაღაც პირადი ისინია... ვიცი, რაც უნდა მითხრათ და არ ვაკეთებთ კომენტარს... არა...

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50



„მისი უწმინდესობა ძალიან ცუდ სიტუაციაშია, შეუძლოდ არის და შევარდნაძის დაკრძალვაზე ვერ ჩამობრძანდა, როგორც ცნობილი გახდა, ექიმმა არ ურჩია წამოსვლაო. მაგრამ კითხვას ვსვამ: იმ ექიმს ვინ უთხრა, რომ ასე უთხარი პატრიარქსო? ეგებ ესეც არის საყურადღებო? იქნებ ის ექიმი დაარიგა ვიღაცამ, რომ არ წამობრძანებულიყო პატრიარქი?.. იქნებ პატრიარქის საქართველოში დაბრუნება არ სურს ვინმეს?“



„გვაჩვენეს კადრები, რომ შევარდნაძე ეზიარა სიკვდილის წინო, მაგრამ რას ეზიარა? რა, ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა? მერე, მიიღო უფალმა ნაზიარები მისი სული?.. შევარდნაძე მიიღო უფალმა? სხეული მიიღო მიწამ, მაგრამ სული მიიღო უფალმა?“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სართიჭალაში მომხდარ ავარიას 2 წლის ბავშვი და მამაკაცი ემსხვერპლა




შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სართიჭალაში მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. ერთმანეთს სატვირთო ავტომობილი და BMW-ს მარკის ავტომანქანა შეეჯახნენ, რის შედეგად მამაკაცი და 2 წლის ბავშვი გარდაიცვალნენ. ხოლო ამავე ავტომობილში მჯდომი ქალბატონი მძიმე მდგომარეობაშია. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილები მამა-შვილი არიან.

ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ისრაელის ელჩი საქართველოს მთავრობას მადლობას უხდის



ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ქართველ ხალხს ისრაელის მიმართ გამოჩენილი სოლიდარობისთვის მადლობას უხდის.

„საქართველოს მთავრობამ და ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. დაახლოებით 10 წლის წინათ ისრაელი ღაზადან გამოვიდა. იოლი გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგით. „ჰამასის“ მიერ კონტროლირებადი ღაზას სექტორიდან პასუხად ათასობით რაკეტა მივიღეთ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ქალაქებისა და მოქალაქეებისკენ იყო მომართული.

ისევე, როგორც ადრე, ისრაელს ახლაც ესაჭიროება თავდაცვა. ნებისმიერი მთავრობის მსგავსად, ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი ჭურვებისგან და „ჰამასის“ რაკეტების არეალში მყოფი მილიონობით ადამიანი გადაარჩინოს.

მე პატივს ვცემ და ვაფასებ საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სოლიდარობას ისრაელის მიმართ. მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა პრემიერ ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობის თითოეულ წევრს იმ წუხილისთვის, რომელსაც ისრაელში არსებული სიტუაციის გამო გამოთქვამენ და სრული გაზიარებისთვის იმ ფაქტისა, რომ ისრაელს თავდაცვის უფლება აქვს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთი წერილი მივიღე მთავრობის წევრებისა და მეგობრებისგან, რომლებიც წუხილითა და სოლიდარობით იყო სავსე. უღრმესი მადლობა“, – ნათქვამია ელჩის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK


რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# მალე პროკურატურა დაკითხვაზე გივი თარგამაძესა და გიორგი ღვინიაშვილს დაიბარებს?



გოგი კუპრეიშვილი

**„ალიას" 14 ივლისის ნომერში უკვე ვწერდით, რომ აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, გოგი კუპრეიშვილი გიგი უგულავას, გივი თარგამაძისა და კიდევ რამდენიმე „მამალი" ნაციონალის დასჯას ითხოვს. მას შემდეგ, რაც „ქრონიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასლან აბაშიძის ყოფილმა პრესმდივანმა, თამაზ ბაკურიძემ გიგი უგულავა აჭარის უშიშროების სამინისტროს ძარცვასა და კუპრეიშვილის უკანონო დაპატიმრებაში დაადანაშაულა, ის მთავარ პროკურატურაში დაიბარეს და დაკითხეს.**

**როგორც თავად გოგი კუპრეიშვილი ამბობს „ალიასთან" საუბარში „ნაციონალი" გივი თარგამაძე უკვე ისეთ სისულელეებს ლაპარაკობს, მისი საქმის გამოძიებას დადებითადაც კი წაადგება:**

– მე ჯერ კიდევ არჩილ კბილაშვილს შევხვდი, როცა მთავარი პროკურორი იყო, დავწერე განცხადება და მცნეს დაზარალებულად. ხმამაღლა ვაცხადებ, ჩემი დაკავების პროცესს თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე გივი თარგამაძე. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები: გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, გიორგი ღვინიაშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ეს ხალხი განსაზღვრავდა ნებისმიერი ადამიანის ბედს მიშა სააკაშვილის დადგენილების მიხედვით, ეს ხალხი იყო თავად კანონი.

**— ბატონო გოგი, რატომ ამოგიღეს მიზანში, კონკრეტულად რას ითხოვდნენ თქვენგან?**

– ესენი 2004 წლის მარტში, აპრილში, ჩემგან ითხოვდნენ, რომ მომეპოვებინა და მიმეწოდებინა ინფორმაციები ასლან აბაშიძისა და მისი გარემოცვის შესახებ და ოჯახთან ერთად გადმოვსულიყავი თბილისში, კონსპირაციულ ბინაში საცხოვრებლად, როგორც ასლან აბაშიძის რეჟიმს გამოქცეული გენერალი. მე ეს არ შევასრულე და ამიტომაც დამსაჯეს.

**— ასეთი რამ კონკრეტულად ვინ შემოგთავაზათ?**

– ზურაბ ადეიშვილმა და ამირან მესხელმა შემომთავაზეს. 2004 წლის 12 მარტს კოლეგიაზე ვიყავი ჩამოსული და კონკრეტულად ამ დღეს შემომთავაზეს, პირადად მესაუბრნენ. როდესაც ესენი შემოვიდნენ აჭარაში, გიგი უგულავა მოვიდა და დაჯდა ჩემს კაბინეტში, 5 რიცხვში რომ შევიდა, 11 რიცხვამდე იჯდა.

**— კონკრეტულად რას აკეთებდა?**

– რას აკეთებდა და ჩემი კაბინეტი გადატენა იარაღით, იძახებდა ბიზნესმენებს და ბოლომდე წეწავდა, ფულს აწერდა. ასევე, ორგანიზებას უკეთებდა ძვირადღირებული აპარატურის გატანას, ასევე ძვირადღირებული ხატებისა და სხვა ძვირფასი ნივთების გატანას.



**„გიგი უგულავა მოვიდა და დაჯდა ჩემს კაბინეტში... ჩემი კაბინეტი გადატენა იარაღით, იძახებდა ბიზნესმენებს და ბოლომდე წეწავდა, ფულს აწერდა. ასევე, ორგანიზებას უკეთებდა ძვირადღირებული აპარატურის გატანას, ასევე, ძვირადღირებული ხატებისა და სხვა ძვირფასი ნივთების გატანას"**

**— ბატონო გოგი, რა ხატებსა და ძვირფას ნივთებზეა საუბარი, ასეთი ნივთები რატომ გქონდათ უშიშროების სამინისტროში?**

– ეს იყო კონტრაბანდული გზით გატანისას ჩამორთმეული ხატები. არსებობდა კატალოგი, სადაც ეწერა მონაცემები და ინახებოდა უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ ოთახში, სხვაგან სად უნდა შეგვენახა? როდესაც საზღვარზე კონტრაბანდული წესით გადაჰქონდათ, ჩამოვართვით. ეს გახლდათ მართლმადიდებლური ეკლესიის ხატები, თანაც ძალიან ძვირადღირებული. ასეთი რამის გატანა აკრძალულია.

**— ეს ყველაფერი ამათ წაიღეს და გაქრა?**

– მე ვიცი, რომ იქ იყო და სად წაიღეს, არ ვიცი. რაც კი უშიშროების სამინისტროში ღირებული იყო, ყველაფერი წაიღეს. ვიმეორებ, ძვირადღირებული აპარატურაც გაზიდეს, ამას ვადასტურებ, ოღონდ სად წაიღეს, არ ვიცი. ჭურჭელიც კი წაიღეს, ხომ წარმოგიდგენიათ?

**— რას ლაპარაკობთ, ჭურჭელი რაღა ჯანდაბად უნდოდათ?**

– მოეწონათ, იქ სერვიზიც იყო. სოსო გოგიტიძის კაბინეტიდან ოდეკოლონები, პერანგები და ფეხსაცმელები გაზიდეს. ესენი ახლა რაღაც კანონებსა და ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, სირცხვილი არ არის? მე უბრალოდ მიკვირს, რომ ქართველი ხალხი ხმას არ იღებს. 320 ათასმა კაცმა გაიარა მაგათ წნეხში, სად არიან ეს ადამიანები? დღიდან ჩემი დაკავებისა, ჩემი ადვოკატი იყო ეკა ბესელია, 2006 წლიდან ვლაპარაკობდი სასამართლო პროცესებზე და ეკამ ეს საქმე გაგზავნა სტრასბურგშიც, ვინმემ რამე გაიგონა? გასაგებია, რომ მაშინ სხვა დრო იყო და ამათ ყველა გზა ამოკეტილი ჰქონდათ, მაგრამ ახლა ხომ შეიძლება ლაპარაკი და რაღაცის გაკეთება?

**— ბატონო გოგი, როდესაც გიგი უგულავა თქვენს კაბინეტში იჯდა და ოქროს უზალთუნებს ითვლიდა, მაშინ სად იყავით?**

– მე მისი განკარგულებით გადმომიყვანეს თბილისში, იმ დროს გამომწყვდეული ვიყავი „მოდულის" შენობაში, „კაპეზეში". შემდეგ იქიდან გამამწესეს ორთაჭალის ციხეში. წელიწადი და ერთი თვე ახლობლებს არ მაკარებდნენ, ბავშვების სურათები მოვითხოვე, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა ციხის ადმინისტრაციას აუკრძალეს, სურათები არ გადასცეთ, გოგი კუპრეიშვილი ინერვიულებსო. წარმოგიდგენიათ, როგორი ცინიკოსები და დაუნდობლები იყვნენ? წელიწადი და ერთი თვე მხოლოდ ეკა ბესელია შემოდიოდა ჩემთან, ოჯახის წევრებიც კი ვერ მნახულობდნენ. ესენი ლაპარაკობენ დღეს ევროპულ ღირებულებებზე?

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „შავი ბაზრის იმედად ქართული პროდუქციის ექსპორტი და ბიზნესის ნაცვლად „ავტოვაზვრატი"?




„დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრის" ხელმძღვანელი მუხრან ბურჭულაძე „ერგნეთის ბაზრის იდეის" შესახებ ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციასა და რუსეთის მხრიდან საქართველოს რკინიგზით დაინტერესების თემას სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„ყველაფერი ნათელია მთავრობის ოცნებაც და კონკრეტული გეგმაც. მაშინ როდესაც ქვეყანას ეკონომიკურად უკიდურესად მძიმე მდგომარეობა აქვს, ხელისუფლებისთვის **ФСБ**-ს რკინიგზა და ერგნეთის ბაზარი გამოსავალი აღმოჩნდა. ნაცვლად იმისა, რომ მთავრობა საავტომობილო ბაზრის ლიკვიდაციის თავიდან აცილებაზე ზრუნავდეს, ზაქარეიშვილი თურმე „ერგნეთის ბაზრის იდეის" ხორცშესხმაზე ოცნებობს. ერგნეთის შავი ბაზარი ყოფილა სატკივარი, სადაც სახელმწიფო კონტროლი ნულს უდრიდა, სადაც ნარკოტიკებსა და ნაძარცვ ნივთებს ჰქონდა გასავალი მხოლოდ და ბაზრის ძირითად ფუნქციას კონტრაბანდული ტვირთების ბრუნვის ხელშეწყობა წარმოადგენდა. აი, რამ დასწყვიტა გული ყოფილ „საგარეოშნიკებს" და რა ენატრებათ მოქმედ მინისტრებს.

დღეს გარკვეული მიზეზების გამო ავტომობილების ექსპორტს ვეღარ ახორციელებენ ჩვენი მოქალაქეები, ეს კი მათი ოჯახების ძირითადი შემოსავლის წყაროა. უმჯობესია, მოეშვათ ნარკოტიკებით, იარაღითა და კონტრაბანდული ნაწარმით ვაჭრობაზე ფიქრს და ავტოექსპორტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოთ. შავი ბაზრის იმედად დაჰპირდით ხალხს ქართული პროდუქციის ექსპორტს? და ბიზნესის ნაცვლად ხალხს რას სთავაზობთ – „ავტოვაზვრატს"?!. – წერს ბურჭულაძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ელექტროენერგიის ტარიფი შესაძლოა, გაიზარდოს



ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის განცხადებით, ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების შემუშავება დასრულდა და შესაძლებელია, რომ ტარიფი უმნიშვნელოდ გაიზარდოს.

„ტარიფი მნიშვნელოვნად ნამდვილად არ გაიზრდება, თუმცა, გარკვეული ოპტიმიზაციის თვალსაზრისით შეიძლება რაღაც კომპონენტები გაიზარდოს. მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი გადაანგარიშება ყველა იმ კომპონენტის, რომელიც ტარიფის შემადგენლობაში შედის. შედეგზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ძალიან ბევრი კომპონენტია. შემიძლია გითხრათ, რომ ტარიფის მნიშვნელოვნად გაზრდა ნამდვილად არ მოხდება. ამის გარკვეული წინა მონახაზები არსებობს, თუმცა გარკვეული ოპტიმიზაციის თვალსაზრისით შეიძლება რაღაც კომპონენტები გაიზარდოს", – განაცხადა ვალიშვილმა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ამათი პროკურორი ითხოვდა 12 წელს, მაგრამ მომისაჯეს 8 წელი, თითქმის 5 წელი ვიჯექი. 2 წელი შეწყალება გამიკეთა პატრიარქმა, მადლობა ამისთვის. როცა ამათ დამიჭირეს, ვიყავი 50-ის ახლა ვარ 60 წლის, თითქმის 10 წელი დავკარგე ამათთან ჭიდაობაში, ცხოვრების საუკეთესო წლები. ამ პერიოდში საკუთარ შვილებსაც კი არ მაჩვენებდნენ.

**— თქვენ ამბობთ, ჩემს დაკავებას გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდაო, კონკრეტულად მასთან შეხება გქონდათ?**

– ჩოლოქზე შევხვდი და ვილაპარაკეთ. მე ეს ყველაფერი გავაკეთე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეო.

**— ესე იგი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გიჭერო?**

– კი, მაგან შემდეგ ვახტანგ კომახიძეზე თავდასხმის საქმე შემითითხნა, ტერაქტის ორგანიზებაში დამდო ბრალი, ვერ დამიმტკიცა და ბოლოს ზურაბ ადეიშვილმა მოიგონა ასანიძის საქმე, თითქოს მე ვლახავდი მის უფლებებს, ციხეში მყავდა უკანონოდ გამომწყვდეული. ადეიშვილმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთში ამაზე ხმას არავინ ამოიღებდა, მე ხომ ადამიანის უფლებებს ვლახავდი? თენგიზ ასანიძეც დაარწმუნეს, შენი მტერი გოგი კუპრეიშვილიაო. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე. 2005 წლამდე ასანიძესთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მის მეუღლესთანაც და მთელ ნათესაობასთანაც, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, რა უთხრეს, არ ვიცი, სასამართლო პროცესზე ყველამ აქეთ შემომიტია.

**— თენგიზ ასანიძე ხომ ასლან აბაშიძის პირად პატიმრად იყო მონათლული?**

– კი, მაგრამ არაფერი აღარ აინტერესებდათ, ჯოხი საბოლოოდ ჩემზე გადატეხეს. როცა ციხიდან გამოვედი, თენგიზ ასანიძესაც შევხვდი, ვილაპარაკეთ, მე მითხრეს, შენ იყავი ყველაფრის ორგანიზატორიო. რატომ დაიჯერე, ხომ იცოდი, ვინც იყო ორგანიზატორი-მეთქი? ვერაფერი ველარ თქვა. ამ ადამიანთან ადრეც ნორმალური ურთიერთობა მქონდა და ახლაც მაქვს.

**— ახლა საქმე აღძრულია მხოლოდ გიგი უგულავას წინააღმდეგ თუ გამოძიება იმათაც მიადგება, ვინც თქვენ დაასახელეთ?**

– მე ბრალს ვდებ ექვსეულს, გიგი უგულავა ერთ-ერთი იმათგანია. ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა და უამრავ დანაშაულს სჩადიოდა. გარდა იმისა, რომ მე ჩამსვეს ციხეში, წამართვეს ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. სასამართლო წესით დაუსაბუთებლად ჩამითვალეს. მინდა, ერთი რამე ავღნიშნო, როდესაც მე დამაპატიმრეს, ერთადერთი თამაზ ბაკურიძე იყო, რომელიც სასამართლო პროცესზე მოურიდებლად გამოვიდა და სიმართლე ილაპარაკა. ეს გააკეთა იმ ადამიანმა, რომელთანაც არცთუ ისე ახლო ურთიერთობა მქონდა, ჩემი კოლეგები ვერ ბედავდნენ ვერაფრის თქმას, მან კი გაბედა.



**„როდესაც მე დამაპატიმრეს, ერთადერთი თამაზ ბაკურიძე იყო, რომელიც სასამართლო პროცესზე მოურიდებლად გამოვიდა და სიმართლე ილაპარაკა. ეს გააკეთა იმ ადამიანმა, რომელთანაც არცთუ ისე ახლო ურთიერთობა მქონდა, ჩემი კოლეგები ვერ ბედავდნენ ვერაფრის თქმას, მან კი გაბედა“**



**„ვახტანგ კომახიძეზე თავდასხმის საქმე შემითითხნა თარგამაძემ, ტერაქტის ორგანიზებაში დამდო ბრალი, ვერ დამიმტკიცა და ბოლოს ზურაბ ადეიშვილმა მოიგონა ასანიძის საქმე, თითქოს მე ვლახავდი მის უფლებებს, ციხეში მყავდა უკანონოდ გამომწყვდეული. ადეიშვილმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთში ამაზე ხმას არავინ ამოიღებდა, მე ხომ ადამიანის უფლებებს ვლახავდი?“**

**— თქვენი მაგარი ძმაკაცები დაიმალებოდნენ.**

– კი, დაიმალნენ. მე საკუთარ თავზე გამოვცადე, იმ პერიოდში ჟურნალისტები რომ არ ყოფილიყვნენ, ესენი უარეს დღეში ჩამაგდებდნენ, უფრო მეტ ბინძურ ბრალდებას შემითითხნიდნენ.

გივი თარგამაძე ისევ ძველ ჩვენებას აწვება, ის კუპრეიშვილის დაკავებაში უკანონოს ვერაფერს ხედავს: „მე ამ საქმეში ვერ ვმონაწილეობდი გამომდინარე იქიდან, რომ არ მქონდა შესაბამისი უფლებამოსილება და კუპრეიშვილისნაირად კაბინეტში ავტომატები და სხვადასხვა შეიარაღება არ მედო არასდროს. ეს იყო ერთ-ერთი მსახური ასლან აბაშიძის კრიმინალური რეჟიმის“.

გივი თარგამაძეს სახეზე ცოტა ფერი კი აქვს შეცვლილი, მაგრამ ჯერ იმ დონეზე მაინც არ არის შეშინებული, რომ ყველაფერი უცებ დაფქვას. როგორც ჩანს, გივის კოჰაბიტაციის იმედი აქვს. ისე, საინტერესოა, 2007 წლის ნოემბერში ბატონი გივი რომ გვემუქრებოდა, სულებს ამოგხდითო, შესაბამისი უფლებამოსილება ჰქონდა? მე პირადად მგონია, რომ არ ჰქონდა, მაგრამ იქნებ მთავარმა პროკურატურამ დაგვდოს პატივი და „სულების ამოხდის“ საქმეც გამოიძიოს? წესით, პროკურატურამ უახლოეს ხანში დაკითხვაზე გივი თარგამაძე და გიორგი ღვინიაშვილიც უნდა დაიბაროს. მიხეილ სააკაშვილი უკვე დაბარებულია, მაგრამ არ მიდის. ზურაბ ადეიშვილი „გაღმაა“ გასული და ვერ ჩამოჰყავთ. ვანო მერაბიშვილი „საიმედო“ ხელშია და ალბათ, იქ დაჰკითხავენ. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, გოგი კუპრეიშვილს იმედი აქვს, რომ დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლების წარმომადგენლები პოსტებს „ჯიპების“ სიდიდით ზომავენ“



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ საკრებულოში პირადი ავტომობილები ძირითადად თავმჯდომარისა და მოადგილეების ოჯახის წევრებს ხმარდება.

„ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან ღარიბ ქვეყანაში და თითოეულ თეთრს სჭირდება გაფრთხილება. ჩემი ინიციატივა ემსახურება იმას, რომ ფუფუნებაში არ იცხოვრონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ პოსტებს ზომავენ არა პასუხისმგებლობით, არამედ „ჯიპების“ სიდიდით. ღარიბ ქვეყანაში საკრებულოს თავმჯდომარეები და დეპუტატები არ უნდა ცხოვრობდნენ ფუფუნებაში. რეალურად, თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, მანქანას ძირითადად მოიხმარენ სამსახურში მოსასვლელად და წასასვლელად. დანარჩენი საწვავი იხარჯება მათი ოჯახის წევრების, ახლობლების აგარაკზე, მაღაზიებში, ბაზრობასა და სხვა ადგილებში წასაყვანად“, – განაცხადა ელისაშვილმა.

ელისაშვილი მიიჩნევს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ხარჯების შემცირებაზე უნდა ფიქრობდეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „უუნაგირო ცხენი ვარ, ენაზე კბილის დაჭერა არ შემიძლია“

**Haqqin.az**-ის ჟურნალისტი სააკაშვილთან ინტერვიუში იმ ბრალდებებით დაინტერესდა, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტის ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობის თაობაზე ისმის:

„არ ვარ ადამიანი, რომლის კონტროლიც შესაძლებელია. არასდროს მყოლია უფროსი. ვიყავი დამოუკიდებელი იურისტი ამერიკაში, შემდეგ – დეპუტატი. რაღაც დროის განმავლობაში ვიყავი მინისტრი, დამოუკიდებელი მინისტრი. ამის შემდეგ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე. საბოლოოდ, ქართულ ოპოზიციას ჩავუდექი სათავეში და შემდეგ საქართველოს პრეზიდენტად ამირჩიეს. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ჩემი გამოძახება და რაიმე დავალებების მოცემა. როგორც იტყვიან, უუნაგირო ცხენი ვარ. ისეთი ადამიანი ვარ, რომ არც ერთი სპეცსამსახური არ მომენდობოდა. ენაზე კბილის დაჭერა არ შემიძლია“, – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „მერია და საკრებულო ჰარმონიულ ერთიანობაში იმუშავებს“



საკრებულოს ახალი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით:

„მერია და საკრებულო ჰარმონიულ ერთიანობაში იმუშავებს. ჩვენი ქალაქი სასურველ საცხოვრებელს უნდა დაემსგავსოს. ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა იქნება საჭირო. თბილისის მოსახლეობა მოუთმენლად ელის ყველა საკითხის გადაწყვეტას და მცირე და დიდი პრობლემა ნაბიჯ-ნაბიჯ წინ უნდა წავიდეს“, – განაცხადა ალიბეგაშვილმა. (ნიუპოსტი)

გუშინ, დაახლოებით 5 საათზე, ვაკეში, ჭავჭავაძის 37-ში, საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის ავტოფარეხში, გარდაცვლილი იპოვეს ეროსი კიწმარიშვილი. მისი ცხედარი მისავე ავტომობილში კორპუსის დაცვის უფროსმა აღმოაჩინა. საქმეს თავიდან პოლიცია იძიებდა, მოგვიანებით კი პროკურატურამ გადაიბარა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. თუმცა, გამოძიება პარალელურად სხვა ვერსიებზეც მუშაობს. ვიდრე კიწმარიშვილის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის ვერსიებს შემოგთავაზებთ, მანამდე მისი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან ეპიზოდებს შეგახსენებთ, რითაც საზოგადოებას თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

ეროსი კიწმარიშვილმა 1993 წელს დააფუძნა ტელეკომპანია „რუსთავი", რომელიც მხოლოდ ქვემო ქართლის მასშტაბით მაუწყებლობდა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაპირისპირების შემდეგ, „რუსთავს" ლიცენზია გაუუქმეს. ამის შემდეგ, 1994 წელს, კიწმარიშვილი ახალ ტელეკომპანიას, „რუსთავი 2"-ს აფუძნებს. 1995 წლიდან, როცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გახდა, ის ჟვანიას „რეფორმატორთა" გუნდს დაუახლოვდა, მის პირად მეგობრადაც ითვლებოდა და სწორედ მისი წყალობით გაუმკლავდა შევარდნაძის ხელისუფლების ძალოვნებს, რომლებიც „რუსთავი 2"-ს დიდი ოდენობით გადასახადების დამალვას ედავებოდნენ. მაშინ კიწმარიშვილი ზურაბ ჟვანიამ იხსნა და მისი მფარველი გახდა. „რეფორმატორთა" გუნდის ხელში „რუსთავი 2" ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებასთან ბრძოლის მთავარ იარაღად იქცა. ეს ფაქტი თავისუფალ ტელეკომპანიაზე ზეწოლად გამოცხადდა და მთელი საერთაშორისო საზოგადოება შეძრა. ფაქტია, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შევარდნაძის ხელისუფლების რღვევა. „რუსთავი 2"-ში უშიშროების შეჭრას, შევარდნაძის ერთგული ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა გადადგომა მოჰყვა. ზურაბ ჟვანიამ, დაჟინებული მოთხოვნით, შს მინისტრ კახა თარგამაძის გადადგომას მიაღწია და ამის შემდეგ თავადაც გადადგა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, მაგრამ ასევე, ყველანაირად შეეცადა, ეს ადგილი მის თანაგუნდელ ნინო ბურჯანაძეს დაეკავებინა და ამასაც მიაღწია, ბურჯანაძე სპიკერად აირჩიეს. „რეფორმატორები" უკვე ძალიან ახლოს იყვნენ ხელისუფლების ხელში ასაღებად, ერთი ნაპერწკალიღა იყო საჭირო, რომ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ხალხი გამოეყვანათ „რეფორმატორებს" და ხელისუფლება ხელში აელოთ.



არც ამ ნაპერწკალმა დააყოვნა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ „რეფორმატორები" ხელისუფლებაში მოვიდნენ. „რუსთავი 2"-ს რევოლუციის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის, ყველაფერს აკეთებდა შევარდნაძის ჩინოსნების მხილებისთვის და „რეფორმატორთა" გუნდის წევრთა დანაშაულებრივ საქმიანობასაც ფარცხავდა. თავად ეროსი კიწმარიშვილი აქტიურად იყო ჩართული ჟვანია-სააკაშვილის პიარში და „რეფორმატორთა" პიარ-სტრატეგიასაც განსაზღვრავდა. ცხადია, კიწმარიშვილმა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მასში შეტანილი დიდი წვლილისთვის, კუთვნილი მოითხოვა და სწორედ ამის გამო დაეძაბა ურთიერთობა ჟვანიასთანაც და სააკაშვილთანაც.

მედიით გავრცელებული ინფორმაციით, კიწმარიშვილი თავდაპირველად პრემიერ-მინისტრის პოსტს ითხოვდა და ამის შემდეგ დაუპირისპირდა ის ზურაბ ჟვანიას. მოგეხსენებათ, პრემიერის პოსტი ჟვანიას თავად სურდა და კიდეც დაეუფლა მას. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე თანამდებობაზე ჰქონდა პრეტენზია კიწმარიშვილს, მაგრამ არც ერთი მაღალი პოსტი არ მისცეს. ამის შემდეგ მან რუსთავის ტერიტორიაზე კაზინოების ქალაქის მშენებლობა მოინდომა, მაგრამ არც ეს გამოუვიდა. 2004 წლის თებერვალში სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარედ დანიშნეს, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, გუნდიდან მოკვეთა და მოშორება იყო. ასეც მოხდა, ერთ წელიწადში კიწმარიშვილმა პალატა მიატოვა. ამავე პერიოდში მას 10 მილიონ დოლარად იძულებით გააყიდვინეს „რუსთავი 2" და ამ საქმეში უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი იყო ჩართული. ამის შემდეგ კიწმარიშვილი ამერიკაში წავიდა.




# კიწმარიშვილის მანქანაში ნაპოვნი იარაღი „დიანაში" შეძენილი 9 მმ-იანი „ჩეზე 75"-ია

საქართველოში 2007 წლის მოვლენების შემდეგ გამოჩნდა. მიხეილ სააკაშვილს შეურიგდა და 2008 წლის არჩევნებში მის პიარსაც ხელმძღვანელობდა. სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა და კიწმარიშვილს გარჯა დაუფასა – რუსეთში ელჩად დანიშნა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, პარლამენტში შექმნილმა ომის მოვლენების შემსწავლელმა კომისიამ კიწმარიშვილი დაკითხა, რომელმაც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ მისცა ჩვენება და ომის დაწყებაში დაადანაშაულა. ამის შემდეგ მათი გზები თითქოს გაიყო, მაგრამ 2011 წელს, „მაესტროზე" მომხდარი მოვლენებისას, კიწმარიშვილმა აშკარად „ნაციონალთა" მხარე დაიჭირა. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს" საკონტროლო პაკეტს ყიდულობდა, კიწმარიშვილი ტელეკომპანიაში შეიჭრა თავისი დაცვის თანამშრომლებთან ერთად. კიწმარიშვილი იმ დროს „მაესტროს" მმართველი კომპანიის შეფი იყო და არა დამფუძნებელი. ამდენად, მისი საქციელი აშკარად „ნაციონალთა" წისქვილზე ასხამდა წყალს. „მაესტრომ" მაუწყებლობა კი შეწყვიტა დროებით, მაგრამ ეროსიმ არხის პარალიზება ვერ შეძლო, რაც, სავარაუდოდ, გეგმა მინიმუმი იყო. ბოლოს ეროსი კიწმარიშვილმა ადგილობრივ არჩევნებში იყარა კენჭი, რუსთავის მერობა სურდა, მაგრამ პირველსავე ტურში დამარცხდა – მესამე ადგილზე გავიდა და გამოაცხადა, რომ მეორე ტურში მხარს „ნაციონალების" კანდიდატს უჭერდა. შეიძლება ითქვას, კიწმარიშვილი „ნაციონალებს" ყველა გასაჭირში გვერდით დაუდგა და მათთვის ძალიან ბევრი გააკეთა.

ახლა ისევ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის ფაქტს დავუბრუნდეთ. ყველა მისი მეგობარი, ოჯახის ახლობელი ირწმუნება, რომ ის თავს არ მოიკლავდა. ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას არც ფინანსური პრობლემები ჰქონდა, არც ვინმეს ვალი ემართა და არც სხვა საფუძველზე ჰყავდა პირადი მტრები. მართალია, გავრცელებული ინფორმაციით, 2003-2005 წლებში კიწმარიშვილი აქტიურად იყო ჩართული ქონების გადანაწილების საკითხში და მან რამდენიმე სადავო ობიექტი იყიდა, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ 10-12 წლის წინათ მომხდარი შემთხვევის გამო, ვინმემ ახლა იძია შური. ეროსი კიწმარიშვილის მეგობარი, ყოფილი პარლამენტარი ბადრი ნანეტაშვილი აცხადებს, რომ ის მომხდარის წინა დღეს შეხვდა მას და კიწმარიშვილი

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90-დან 15 დღემდე მცირდება



პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით, მოქმედი კანონი რეპრესიების განხორციელებისთვის გამოიყენებოდა, რაც მართებული არ არის.

„ის, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ზღვარი 15 დღემდე შემცირდება, საკმაოდ კარგი გადაწყვეტილებაა. ევროპული ქვეყნების მაგალითი აჩვენებს, რომ ადმინისტრაციული წესით პატიმრობა ბევრ ქვეყანაში ხელისუფლების მიერ რეპრესიული ზომების გატარებისთვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იყო, რომლითაც უამრავ ადამიანს აპატიმრებდნენ. გვინდა, რომ ვადაც შევამციროთ და ამავე დროს პროცედურები დავხვეწოთ. კერძოდ, დაკავებულ პირს უნდა განემარტოს უფლება-მოვალეობა, მას არ უნდა აყოვნებდნენ იმდენი საათის განმავლობაში, რამდენითაც დღეს არსებული პრაქტიკით აყოვნებენ. ამიტომ, ამ კანონის მიღება არის ადამიანის უფლებების დაცვით ძალიან პროგრესული გადაწყვეტილება", – განაცხადა ბესელიამ.

ცვლილების მიხედვით, სამართალდამცავს ეკისრება ვალდებულება, ადმინისტრაციული დაკავებისას პიროვნებას მისი უფლებები დაკავებისთანავე განუმარტოს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## შსს ომბუდსმენის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს



შინაგან საქმეთა სამინისტრო სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებას ეხმაურება. შსს უარყოფს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელს მუშაობაში დაბრკოლება შეუქმნეს.

„2014 წლის 11 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული არმენ მარანგოზიანი მივიდა ახალქალაქის პოლიციის შენობაში მოქალაქის მოსანახულებლად, რომლის ოჯახის წევრთა ცნობით, მოწმის სახით დაკითხვა მიმდინარეობდა. სახალხო დამცველის რწმუნებულმა წარადგინა შესაბამისი მოწმობა, რის შემდეგ ის შევიდა პოლიციის შენობაში, მას გაესაუბრა სამმართველოს უფროსის მოადგილე, რომელმაც განუმარტა, რომ აღნიშნული პირი არ იმყოფებოდა სამმართველოში, რის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა დატოვა პოლიციის შენობა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს მუშაობაში დაბრკოლება შეუქმნეს და მოქალაქესთან ვიზიტის განხორციელებაში ხელი შეუშალეს, სიმართლეს არ შეესაბამება. შსს აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან და 2013-2014 წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში 140-მდე ვიზიტი განახორციელეს", – აცხადებენ შსს-ში.

(ნიუპოსტი)




## დედაქალაქის მერიაში კადრების შერჩევის წესს პარლამენტი დაადგენს

აღნიშნულის თაობაზე თბილისის ახლად არჩეულმა მერმა დავით ნარმანიამ კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართა.

„პარლამენტში მზადდება ატესტაციის წესი, მოხდება მისი განხილვა და ამასთან დაკავშირებით გვქონდა კონსულტაციები. მას შემდეგ, რაც ეს წესი დამტკიცდება, ამის მიხედვით ჩატარდება ატესტაცია. კვალიფიციური ადამიანები გააგრძელებენ მუშაობას, სხვა დანარჩენნი კი, რომლებიც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის" მსახურებით იყვნენ დაკავებულნი და სხვას არაფერს აკეთებდნენ, ჩამოშორდებიან მერიის სამსახურებს", – განაცხადა ნარმანიამ. (ფრონტნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

სამომავლო გეგმებზე ესაუბრა, აპირებდა არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას და საკაბელო ტელევიზიის დაფუძნებას. ნანეტაშვილი ეროსის გუშინ, სიკვდილის დღესაც ესაუბრა და მისთვის საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. ნანეტაშვილის ეს ჩვენება, რომელსაც პროკურატურასაც უეჭველად მისცემს, იმ ფაქტს ადასტურებს, რომ კიწმარიშვილი წინა დღით არ აპირებდა თავის მოკვლას და არც ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ასე რომ ყოფილიყო, არასამთავრობოს თავი დავანებოთ, ტელევიზიის შექმნის გეგმა მართლა არ ექნებოდა.

დიდ ბოდიშს ვუხდი ეროსი კიწმარიშვილის ჭირისუფალთ, მაგრამ ეს მაინც უნდა დავწერო. არაერთხელ მედიითაც თქმულა, რომ კიწმარიშვილს როგორც „ნაციონალთა", ასევე სხვა პარტიის პოლიტიკურ ლიდერებზე ჰქონდა სერიოზული კომპრომატები. ამბობდნენ, რომ მან სწორედ ამ კომპრომატების მეშვეობით, შანტაჟის გზით მოახერხა 2007 წელს პოლიტიკაში დაბრუნება და სააკაშვილის კარზე თბილი ადგილის მოპოვება. ეროსი კიწმარიშვილს ძალზე ბევრი ინფორმაცია ჰქონდა ქართველი პოლიტიკოსების, მით უმეტეს, სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრებზე, 2003-2005 წლებში მათი მმართველობის პერიოდის საიდუმლო ინფორმაციებზე მიუწვდებოდა ხელი, შესაძლოა, მას ჰქონდა საფრთხის შემცველი ინფორმაციებიც. არსებობის უფლება აქვს ვერსიას, რომ შესაძლოა, კიწმარიშვილი ამ ინფორმაციების ან მათი ნაწილის გახმაურებას აპირებდა და ამიტომ მოკლეს. არც ის არის გამორიცხული, რომ კიწმარიშვილი გარკვეული ინფორმაციის სამართალდამცავებისთვის მიწოდებას გეგმავდა და ამას შეეწირა.

პროკურატურა აცხადებს, რომ იარაღი კიწმარიშვილს ეკუთვნოდა, მის სახელზე იყო რეგისტრირებული და მაინცდამაინც, მკვლელობის დღეს, 15 ივნისს შეიძინა და იმავე დღეს გაიფორმა. „ალიამ" ექსკლუზიურად გაარკვია, რომ 15 ივნისს, ეროსი კიწმარიშვილმა, იარაღის მაღაზია „დიანაში" შეიძინა „ჩეზე 75" ტიპის 9-კალიბრიანი იარაღი. ყველა მისი ახლობელი აცხადებს, რომ ის იარაღს არ ატარებდა. კიწმარიშვილს ეს იარაღი საკუთარი ძმისთვის უყიდია და საკუთარ თავზე გაუფორმებია. ისეთი პრაგმატული ადამიანისგან, როგორიც კიწმარიშვილია, ეს საქციელიც გასაკვირია. მას შეეძლო, ძმა წაეყვანა იარაღის სალონში, მისთვის იარაღი ეყიდა და მისავე სახელზე გაეფორმებინა შსს-ს მომსახურების სააგენტოში. მან კი იარაღი იყიდა, საკუთარ სახელზე დაარეგისტრირა, შემდგომ კი, როცა ძმაზე გადააფორმებდა, ამ პროცედურის გავლა ხელახლა მოუწევდა. ერთ კითხვის ნიშანს ეს უცნაური საქციელიც აჩენს. ეროსი კიწმარიშვილის ძმას იმის შესახებ, მართლა აპირებდა თუ არა მისთვის ეროსი იარაღის ყიდვას, გუშინ კომენტარი არ გაუკეთებია. ის საერთოდ არ გამოჩენილა მედიასთან.







**ვინაიდან გუშინ პროკურატურამ იარაღის შესახებ ინფორმაცია გვიან გაავრცელა, „ალიამ" ვეღარ შეძლო „დიანაში" იმის გადამოწმება, კონკრეტულად რომელი იარაღი შეიძინა კიწმარიშვილმა, ძველი მოდელის „ჩეზე 75" თუ ახალი მოდელის „ჩეზე 75 „პე 07" – „დუტი". ალბათ, გამოძიება ამ ინფორმაციას მოგვიანებით გაახმაურებს.**

როგორც ერთ-ერთმა წყარომ „ალიას" აცნობა, კიწმარიშვილს, სავარაუდოდ, ტყვია საფეთქელში აქვს მოხვედრილი. თუ ამ ვერსიას გავყვებით, თუ მკვლელმა საფეთქელში, ოღონდ შორიდან ესროლა მსხვერპლს, მაშინ მას დენთის ნამწვის კვალი არ უნდა აღენიშნებოდეს საფეთქელზე. თუ იარაღი საფეთქელზე მიიდო და თავი მოიკლა, მას ნამწვის კვალი ექნებოდა. მეზობლები აცხადებენ, რომ ხალხი კორპუსის წინ ტრიალებდა და სროლის ხმა არავის გაუგია არც გარეთ და არც სახლში. სროლა, შეგახსენებთ, მიწისქვეშა საერთო ავტოფარეხში მოხდა. მეზობლებს მხოლოდ 2 შემთხვევაში შეიძლება არ გაეგოთ სროლის ხმა. 1. თუ მაყუჩიანი იარაღით ესროლეს მსხვერპლს. 2. თუ მანქანის კარები დაკეტილი იყო და ფანჯრებიც აწეული. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, დახურულ ავტოსადგომზე იარაღით გასროლას ვიღაც მაინც გაიგებდა, ან იარაღის გასროლის ხმასთან მიმსგავსებულს.

სხვათა შორის, სოცქსელებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იმ კორპუსის ავტოფარეხში, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, სათვალთვალო კამერებია დაყენებული და ხალხი ამ კამერების ჩანაწერების გასაჯაროებას მოითხოვს. სავარაუდოდ, გამოძიებას უკვე ამოღებული ექნება ეს ჩანაწერები, თუ ისინი მართლა არსებობს. გაასაჯაროებენ თუ არა, ეს უკვე პროკურატურის საქმეა.

გამორიცხული არ არის, ეროსი კიწმარიშვილს არც თავი მოეკლა და არც ვინმეს მოეკლა ის. სრულიად შესაძლებელია, ის მანქანაში ახლად ნაყიდ იარაღს ამოწმებდა და იარაღი გაუვარდა, მაგრამ შემთხვევით გავარდნილი ტყვია რაღა საფეთქელში მოხვდებოდა?

ერთი უცნაური ამბავიც დაემთხვა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ამბავს. მაინცდამაინც გუშინ, მისი საარჩევნო შტაბის წევრებმა რუსთავში საპროტესტო აქცია გამართეს. ეს ხალხი აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილმა მათ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საფასური არ გადაუხადა და კუთვნილს მოითხოვენ. კიწმარიშვილის საარჩევნო შტაბის წევრმა, გია ხვეიაშვილმა განაცხადა, რომ ამ ხალხს 200-200 ლარი აქვს ასაღები, 50-50 ლარი გადაუხადეს, დანარჩენსაც მისცემენ და ტექნიკური პრობლემის გამო შეფერხდა თანხის სრულად გადახდა. ცხადია, 150 ლარის გამო ეროსი კიწმარიშვილს არავინ მოკლავდა და არც თავს მოიკლავდა, მაგრამ მისი მკვლელობის დღეს მომხდარი ეს ამბავი საყურადღებოდ ჩავთვალე და იმიტომ გავიხსენე.

ცხადია, პროკურატურის ოფიციალურ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს ვერსია არც ერთი ფაქტით არ გამყარებულა, მის წინააღმდეგ კი არაერთი ფაქტი და ვერსია მეტყველებს, თუნდაც ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

„ალია" შეეცადა დამატებითი ინფორმაციები მოეპოვებინა მომხდარის შესახებ, მაგრამ მთავარი პროკურატურის პრესცენტრის თანამშრომელმა, ეკა ჩაჩუამ გვითხრა, რომ პროკურატურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის მეტს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ვერ გაახმაურებენ და დამატებით ინფორმაციას, ამ დღეებში მიაწვდიან საზოგადოებას.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსახლეობა საფრანგეთში გარდაცვლილი მამუკა მარკოზაშვილის გადმოსვენებას მოითხოვს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანას მოსახლეობა საფრანგეთში გარდაცვლილი 38 წლის მამუკა მარკოზაშვილის გადმოსვენებას მოითხოვს. გარდაცვლილი სოფელ აცანადან არის და მისი ოჯახი ამ სოფელში ცხოვრობს. ოჯახის წევრებმა და აცანას მოსახლეობამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან აქცია გამართეს და ცენტრალური გზა გადაკეტეს. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, მათ პირადად ვიცე-პრემიერ კახა კალაძისგან, დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძისგან და ლანჩხუთის მაჟორიტარ თემურ ჩხაიძისგან მიიღეს დაპირება, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა, თუმცა პრობლემა არ მოგვარებულა. ოჯახის წევრები აცხადებენ, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ხელისუფლება მარკოზაშვილის გადმოსვენებისთვის არაფერს გააკეთებს, გზის გადაკეტვა და საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

როგორც თემურ ჩხაიძემ განაცხადა, კახა კალაძე პირადად აპირებს, თანხა გაიღოს, რომ გარდაცვლილის გადმოსვენება მოხდეს. მამუკა მარკოზაშვილი საფრანგეთში 8 დღის წინ გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ციხეში ჩაჯდომის სანაცვლოდ დათა ახალაიამ 100 000 დოლარი შემომთავაზა"



სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული ავთანდილ აფციაურის განცხადებით, ციხეში ჩაჯდომის სანაცვლოდ კუდ-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა დათა ახალაიამ მას 100 000 დოლარი შესთავაზა და გარდა ამისა, დაუფარა საბანკო სესხი 12 ათასი დოლარის ოდენობით.

რაც შეეხება პრივილეგირებულ პირობებში სასჯელის მოხდას, აფციაურის თქმით, მას და კიდევ სამ მსჯავრდადებულს მნახველების მიღება შეუზღუდავი რაოდენობით შეეძლოთ, ამასთანავე, თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება საპატიმროს ტერიტორიაზე. აფციაურმა გაიხსენა მაღალჩინოსნები, რომლებიც, მისი თქმით, მათთან საპატიმროში მოსანახულებლად მივიდნენ.

„ბუცხრიკიძე იყო მოსული, ჩხიტუნიძეც, რამდენჯერმე ბატონი ბაჩო იმყოფებოდა", – განაცხადა აფციაურმა. (ფრონტნიუსი)

## „საკრებულოს თანამშრომლებს სამსახურის დატოვება არ ემუქრებათ"



თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ჯაბა სამუშიამ იმ გეგმებსა და ცვლილებებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებასაც ახლად არჩეული საკრებულო აპირებს.

„ქართული ოცნების" მოსვლის დღიდან მერია საბოტაჟს ახორციელებდა, გამოყოფილი იყო თანხები, თუმცა სამუშაოები არ სრულდებოდა. როცა მერია დავით ნარმანიას ხელმძღვანელობით ფუნქციონირებას ოფიციალურად დაიწყებს, ეს პრობლემები მოგვარდება. საკრებულოს რეგლამენტზე მუშაობა დაიწყო, მასში ცვლილებები პარლამენტის მიერ მიღებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა განაპირობა. მოქმედი კომისიების რაოდენობა, კანონის შესაბამისად, 11-მდე მცირდება, თუმცა მათი ფუნქციები და უფლებამოსილება იზრდება. კომისიები კი არ გაუქმდება, მათი შერწყმა მოხდება... საკრებულოს თანამშრომლებს სამსახურის დატოვება არ ემუქრებათ და ატესტაცია მათი პროფესიონალიზმის გამოვლენას ემსახურება". – განაცხადა სამუშიამ. (რეპორტიორი)

## რა ურთიერთობა აქვთ ვახტანგ რჩეულიშვილის შვილსა და ლელა კილაძეს



ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, გიგი უგულავა უცნაური ბიჭია, ფეხებზე ჰკიდია ოჯახიც და სხვა დანარჩენიც, ყველაფერი დაანგრია.

– ლელა არის ჩემი ძმაკაცის, შალვა კილაძის შვილი. სვანეთისუბნელია შალვა და ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ლელას ქმარმა დააქცია ჩვენი ოჯახი მერობის დროს, ამ გოგოსთან კარგი ურთიერთობა მაქვს და დღემდე მიყვარს. გიგი უცნაური ბიჭია, ფეხებზე ჰკიდია ოჯახიც და სხვა დანარჩენიც, დაანგრია ყველაფერი. ნახავდნენ სადმე ერთად, რა საფუძველი უნდა ჭორს? გუკაც ოთხ საათზე იძინებს და ლელაც, დაქრიან ბარებში. ან უცხოეთში შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ნახავდა ვინმე. გუკა მანქანით რომ მოძრაობს, ნახევარზე მეტს იმალება. ჩემი მძღოლი მიჰყვება ხოლმე. ქალებს აინტერესებთ, – აცხადებს რჩეულიშვილი

*reitingi.ge*

## სტეფანე: „მეც ვუერთდები დეპრესიულ საზოგადოებას“



სტეფანე მღებრიშვილი ბოლო დროს გახშირებული ნეგატიურ ინფორმაციის გამო შეშფოთებულია და მომღერალი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს.

დღეს ცნობილი გახდა, რომ ეროსი კიწმარიშვილი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. მომხდარზე თითქმის ყველა ცნობილმა სახემ სოციალურ ქსელში სტატუსი გამოაქვეყნა. მათ შორის გახლავთ სტეფანეც:

– ისევ პოლიტიკა, პოლიტიკა, ნეგატივი, ნეგატივი... ამ ახალგაზრდებმა რა ქნან?! ყველაზე დიდი პრობლემაა მაშინ, როდესაც მომავალი თაობა ამდენ ნეგატივზე იზრდება. საშველიც არ არის... მოკლედ, მეც ვუერთდები დეპრესიულ საზოგადოებას, – წერს მომღერალი.

*reitingi.ge*



## გიორგი ვარდოსანიძე მეუღლესთან გადაღებულ პიკანტურ ფოტოს აქვეყნებს

მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე და სალომე ჭაჭუა გონიოში მეგობრებთან ერთად ისვენებენ. საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ წყვილს დასვენების პირველ დღეებში არ გაუმართლა – გონიოში ცუდი ამინდი იყო.

თუმცა მოგვიანებით მზემ გამოანათა და წყვილმა სოციალურ ქსელში რამდენიმე პიკანტური ფოტო გამოაქვეყნა.

*reitingi.ge*

## ერეკლე დეისაძე: „ნაცებზე“ მეცინება, ჟვანიას გაზით გაგუდვა რომ სჯერათ და კიწმარიშვილის თვითმკვლელობაში ეჭვი შეაქვთ“



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლის გარდაცვალებას მწერალი ერეკლე დეისაძე სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

– არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ „ნაცებზე“ მეცინება, ჟვანიას გაზით გაგუდვა რომ სჯერათ და კიწმარიშვილის თვითმკვლელობაში ეჭვი შეაქვთ, არა, ეჭვი ნებისმიერ შემთხვევაში კარგია, – წერს დეისაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*



## თაკო შოშიაშვილი: „გიორგი ძალიან უკომპლექსოა და ამან მომხიბლა“

გიორგი ბახუტაშვილმა და თაკო შოშიაშვილმა 22 აპრილს იქორწინეს. წყვილი რამდენიმე თვეა, რაც ერთმანეთს იცნობს. თაკო ოპერატორია. თეატრალურ უნივერსიტეტს ამთავრებს, საოპერატორო ფაკულტეტს. ექვსი თვე „კომედი არხზე“ მუშაობდა, გახსნის დღიდან. თითქმის ყველა გადაცემას იღებდა, მათ შორის „ქეთო და კოტეს“, „ქლაბ შოუს“, „ქომედი ქიდსს“, „ბექაბაიტს“. ახლა აღარ მუშაობს. ამბობს, ტელევიზიაში ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ არ წამოვსულიყავი, გიორგის ვერც გავიცნობდიო. „ფოტოხელოვნება მიტაცებდა. მერე მივხვდი, რომ გაცოცხლებული კადრი უკეთესია და ოპერატორობა გადავწყვიტე“. შეყვარებული ცოლ-ქმარი ერთმანეთზე საუბრობს.

თაკო შოშიაშვილი: გიორგი ძალიან უკომპლექსოა და გულწრფელი და ამან მომხიბლა. თავისუფალი ადამიანია. ყველაფერი მიხარია და სხვანაირად ვუყურებ. მანამდე დეპრესიული ვიყავი. ემოციური ვარ და ძალიან მოქმედებს ჩემზე ყველაფერი. ახლა რომ ვიცი, გიორგი მყავს, ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ.

გიორგი: თაკოს ეს ლეგენდა უყვარს. ღმერთი ადამიანზე გაბრაზდა და ის ორ ნაწილად გაყო. მას შემდეგ ეს ნაწილები დადიან და მუდმივად ერთმანეთის ძიებაში არიან. თაკოსაც მიაჩნდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო ის ადამიანი, ვინც თავის მეორე ნახევარს იპოვიდა. ახლა უკვე დავრწმუნდით, რომ ერთმანეთი და სიმშვიდეც მოვიდა. შეყვარებული აბსოლუტურად ყველაფრის ძალასა და რესურსს ვხედავ ჩემს თავში.

თაკო: სრულყოფილი გავხდი, შევივსე.

*primetimenews.ge*

## თამუნა მუსერიძე „კაზანტიპზე“: „სექტემბრიდან გინეკოლოგები და უროლოგები გამდიდრდებიან“



ტელეწამყვანის თქმით, „კაზანტიპი“ ქვეყნისთვის კარგი იქნება ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისითაც.

– ერთ-ერთ ყველაზე კომერციულ და წამყვან მუსიკად ითვლება ელექტრონული მუსიკა. მინუსი არის ის სექსუალური აქტივობა, რომელიც აქვს იმ მამაკაცს, ვინც ამ საღამოებზე მიდის, რათა დაიკმაყოფილო სექსუალური მოთხოვნილება და არა იმისთვის, რომ მოუსმინონ მუსიკას და გაერთოს მეგობრებთან ერთად და ჰგონიათ, იქ რომ მივლნენ, უკრაინელი გოგონები გაგიჟდებიან და მიასკდებიან მათ. მთავარი მინუსი არის ის, რაც ქართველ ბიჭებს არ „ევასებათ“, ხომ ვერ იღებენ სექსისგან სიამოვნებას, მაშინ როცა თავს იცავენ? შესაბამისად, თუ თავს არ დაიცავენ სექტემბრიდან გამდიდრდებიან გინეკოლოგები და უროლოგები, იმიტომ, რომ თავად აიკიდებენ დაავადებებს და აჰკიდებენ იმ გოგონებსაც“, – აცხადებს მუსერიძე.

*pia.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი: „კაზანტიპზე“ იმიტომ დადის ხალხი, რომ იქ არავის აშარდვინებენ“



ტელეწამყვანის თქმით, ის „კაზანტიპს“ დაესწრება და სურვილი აქვს, მისი შვილიც დაესწროს მსგავს ფესტივალებს.

– მე ხშირად არ დავდივარ მსგავს ფესტივალებზე, მაგრამ, როდესაც შენს ქვეყანაში მსგავსი ფესტივალები ტარდება, ძალიან მომწონს. მომავალი თაობისთვის და საერთოდ ნებისმიერი ადამიანისთვის ელექტრონული მუსიკა და ასეთი ფესტივალები რომ მოდური ხდება, ძალიან კარგია. მოდი, ასე ავხსნი. „კაზანტიპის“ ხიბლი რაშია? მსგავსი ფესტივალების ხიბლი არის იმაში, რომ, მაგალითად, იქ თუ ვიღაცას დასცხა, გაიხდის, ვიღაცას რომ თავისუფლად უნდა ცეკვა, გიჟივით არ უყურებენ. რატომ დადიან ქლაბერები ძირითადად ბერლინში? იმიტომ, რომ იქ კარგად ერთობიან, თავისუფლად არიან. გარდა იმისა, რომ კარგი მუსიკაა და თავისუფლად ერთობიან, იქ გარეთ არავის მოაშარდვინებენ. „კაზანტიპი“ იმიტომ ჰქვია, რომ ცოტა სხვა სტანდარტებს აკმაყოფილებს. აქ ჩატარდება ფესტივალი, რომელსაც ქართულ სახელს დაარქმევენ. ბერლინის კლუბი აქ რომ გადმოიტანო, ვერც ერთი ქართველი ვერ გაერთობა. იქ ვიღაც ნასვამი მივა, ვიღაცა ვიღაცას მხარზე გაედება და ხომ ხვდები, რა მოხდება?! ფესტივალზე რომ ჩახვალ და რომ გეტყვიან, შემოხაზულ ტერიტორიაზე იცეკვე და რომ გახვალ, გარეთ პატრული დაგხვდებაო, ეს არ არის „კაზანტიპი“. ვიღაცა ახალგაზრდა ბიჭი შემოვა, იქ პატრულები დააკვირდებიან, ასე მოხდებოდა წინა უწყებაშიც, ამით მე განვსაზღვრავ ქართულ ხასიათს. ეს პატრული კარგად უნდა დააკვირდეს, რამე ნარკოტიკული ნივთიერება ხომ არ აქვს მიღებული, მერე ქილა ექნება, სადაც მოაშარდვინებს და ეს არ არის „კაზანტიპი“, ხალხნო. ასეთ ფესტივალებზე კახური ღვინით არ ერთობიან. ამიტომ რომ ვამბობთ, „კაზანტიპი“ ჩატარდება, „კაზანტიპი“ კი არ ჩატარდება, ჩატარდება ქართული ფესტივალი გემოვნებიანი მუსიკით, რომლის სახელიც ჯერ არავის მოუფიქრებია. არსებობს საქართველოში ერთ-ერთი კლუბი, სადაც ასეთი მუსიკა არის და ძალიან კარგად, თავისუფლად ერთობა ხალხიც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს იქნება ქართული ფესტივალი, მაგრამ მე მივესალმები და ძალიან მიხარია. მე მინდა საქართველოში ჩატარდეს ფესტივალები, სადაც შარდით არ არიან. წინა ხელისუფლებაც და ახლანდელი ხელისუფლებაც კარგად დააყენებს იქ პოლიციას და ამიტომ ეს უკვე „კაზანტიპი“ აღარ არის. პირობას ვდებ, რომ აუცილებლად ვესტუმრები, ჩემი შვილიც მინდა რომ წავიდეს და მეც წავალ. მაინტერესებს, როგორ შეხვდება ჩემი ქვეყანა ამას. ეს ფესტივალი მარტო სიგუასი ხომ არ არის, ჩემი ქვეყნისაც არის და თუ რამით შემეძლება, რომ პიარში დავეხმარი, აუცილებლად დავეხმარები. უკვე შევეცადე და დავეხმარე კიდეც ქვეყნის ამ ინიციატივას. ამ გამოცდას თუ ჩავაბარებთ, ძალიან კარგი იქნება“, – აცხადებს ჟორჟოლიანი.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მიმდინარეობს ფილმის გადაღების პროცესი. ჯგუფი საშიში ეპიზოდის გადასაღებად ემზადება. მთავარი როლის შემსრულებელი ბეწვის ხიდთან მიდის, დიდხანს უყურებს, მერე კი რეჟისორს ეკითხება:

– ხომ არ ჩამოწყდება?

რეჟისორი ბედნიერი შეჰყვირებს:

– ყოჩაღ შენ, ძალიან მაგარი იდეაა!..

*****

ცოლი ქმარს:

– ძვირფასო, დაბადების დღისთვის რას მაჩუქებ?

– აი, გადაიხედე ფანჯრიდან, შავი ფერის „მერსედესი“ რომ დგას, ხედავ?

– კი, როგორ არ ვხედავ, რა ლამაზია!!!

– ჰოდა, ზუსტად მაგ ფერის კოლგოტებს გიყიდი...

*****

საღამოხანს ქმარმა ბუფეტი გამოაღო, ვისკი გადმოდგა და დალევისთვის მოემზადა. ცოლმა მაშინვე დაუცაცხანა:

– იცოდე, წვეთიც რომ დალიო, სექსზე არც იოცნებო!

დაჯდა ქმარი და ფიქრობს.

ცოლი:

– რაზე ფიქრობ?

– რაზე და იმაზე, რომელი სჯობია – 12 წლის ვისკი თუ 50 წლის საჯდომი?..

*****

ახალგაზრდა გოგონამ იმშობიარა. ბებიაქალი ჭკუას არიგებს:

– შვილო, ჯგუფურ სექსთან უფრო მეტი სიფრთხილე გმართებს!

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ შავკანიანი შვილი შეგეძინა, წითური თმებით და ცისფერი თვალებით.

– მართლა?! და ხომ არ იყეფება?

– არრრა...

– უჰ, მადლობა ღმერთს!..

*****



ერთი ბომჟი მეორეს ეკითხება:

– როგორ ფიქრობ, თმები შევიჭრა?

– რად გინდა, კაცო, შარშან არ შეიჭერი?

– ოოო, სულ ურევ რაღაცებს – შარშან ვიბანავე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## საინტერესო ფაქტები ატომური ენერგიის შესახებ



მართალია, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია საუბარი ატომური ენერგიის ალტერნატიულ საშუალებებზე, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ გაჩნდეს არაერთი მითი და ჭორი, პრინციპში, კაცობრიობის ამ მართლაც საშიშ მიღწევაზე.

ძირითადად, ამ მითების გაჩენა სხვადასხვა „მწვანე“ ორგანიზაციის მაკვარანცხობას უკავშირდება, რომელთაც სურთ, ატომური ენერგია საზოგადოებაში რაც შეიძლება ნეგატიურ მოვლენებს უკავშირდებოდეს.

მოგეხსენებათ, პლუსები და მინუსები ყველაფერს აქვს და ატომური ენერგია გამონაკლისი სულაც არ არის.

მაინც როგორი მითები ვრცელდება ყველაზე აქტიურად ატომური სადგურების შესახებ?

– ვინც ატომური ელექტროსადგურთან ახლოს ცხოვრობს, ხშირად ავადმყოფობს – მართლაც ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ვინც ატომური ელექტროსადგურის სიახლოვეს ცხოვრობს, გაცილებით ხშირად ავადდება ლეიკემიით, რაც არ ყოფილა მართალი. სპეციალისტების მტკიცებით, ეს დაავადება ერთნაირად ემუქრება ატომური სადგურის ახლოს მაცხოვრებლებსაც და ნებისმიერ ცენტრალური პარკის სტუმარსაც.

– ქარის სადგურები ატომურზე სასარგებლოა – მიიჩნევა, რომ ქარის ენერგია ეკოლოგიურად უფრო სუფთაა. ესეც საკამათო საკითხი ყოფილა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქარის სადგურები, ძირითადად, წყალსაცავების ნაპირებთან შენდება, რაც, თავის მხრივ, უკვე არღვევს ეკოლოგიურ ბალანსს. ასევე, თავად ამ სადგურების წარმოება საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. და კიდევ ერთი: იმ რაოდენობით ენერგიის გამომუშავებისთვის, რომელიც ატომურ სადგუზე მოდის, საჭიროა ასობით ქარის სადგურის შექმნა.



– დედამიწაზე ურანის მარაგი შეზღუდულია – ხშირად ისმის ხოლმე მითი, თითქოს, დედამიწაზე ურანის საკმარისი მარაგი არ არსებობს. რეალურად, ურანის მარაგი, მაგალითად, ოქროსაზე 600-ჯერ მეტია და ის მინიმუმ 500 წელი არ გამოილევა. მაგრამ როცა ეს მოხდება, მეცნიერები შეძლებენ თორიუმის გადამუშავებას და ურანის მისგან მიღებას. რაც შეეხება თორიუმის მარაგს, ის ურანის მარაგს მინიმუმ 3-ჯერ აღემატება.

– ატომური ენერგიის ღირებულება – როგორც ირკვევა, ატომური ენერგიის ფასის 10 პროცენტი ურანზე მოდის. ამასთანავე, ურანის ღირებულება გაცილებით სტაბილურია, ვიდრე იმავე ნავთობის ან გაზის. დღეისთვის ატომური ენერგიის ღირებულება გაზისას აღემატება, მაგრამ, როგორც ამბობენ, დაახლოებით 20-ჯერ იაფია, ვიდრე ქარის ენერგია.

– რა დრო სჭირდება ატომური ელექტროსადგურის აგებას? – საშუალოდ, ამისთვის 5 წელია საჭირო. ყველაზე სწრაფი შედეგი ერთ-ერთმა კანადურმა კომპანიამ აჩვენა, რომელმაც 18 წელიწადში 6 სადგური ააშენა.

– ატომური სადგურების ზემოქმედება გარემოზე – მიიჩნევა, რომ ატომური სადგურები ისეთ გაზებს გამოიმუშავებენ, რომლებიც გარემოს გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ. რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს, უკანასკნელი კვლევების შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ატომური ენერგია გაცილებით მცირე რაოდენობით ნახშირბადს შეიცავს, ვიდრე მზის ან ჰიდროენერგია.

– ატომური სადგურების რადიოაქტიური ნარჩენები – თუკი საქმეში ჩახედულ ადამიანებს დავუჯერებთ, ნარჩენები საკმაოდ მცირე რაოდენობისაა და ისიც, მხოლოდ 20-40 წელიწადში ჩნდება ხოლმე.

– ტერორისტების შეტევა ატომურ სადგურზე – 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როცა ტერორისტების თვითმფრინავი „ტყუპებს“ შეეჯახა, გაჩნდა ლოგიკური კითხვა: ხომ არ შეიძლება ასეთი რამე განმეორდეს და მორიგი სამიზნე ახლა უკვე ატომური ელექტროსადგური გახდეს? კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე დიდი ზომის თვითმფრინავსაც კი არ შეუძლია ატომურ სადგურს სერიოზული დაზიანებები მიაყენოს. ამის მიუხედავად, რისკების გათვალისწინება მაინც ხდება და თანამედროვე სადგურები დამატებითი დაცვით და სხვადასხვა ავტომატიზებულ სისტემებს იღებს.

**hozna.ru**

## ზვიგენის თავდასხმისგან დასაცავად სპეციალური მოწყობილობა შექმნეს



ღმერთმა ქნას, ასეთ ექსტრემალურ და უკიდურესად საშიშ სიტუაციაში არასოდეს აღმოჩნდეთ, მაგრამ მაინც ყოველი შემთხვევისთვის მაინც კარგი იქნება, იცოდეთ, რომ გამოგონილია ზვიგენების თავდასხმისგან დასაცავი სპეციალური მოწყობილობა.

სიახლის ავტორები ამერიკელები არიან, რომელთა მიერ შექმნილი მოწყობილობა შემდეგი პრინციპით მუშაობს:

სამაჯურის მსგავსი მცირე ზომის მოწყობილობა ადამიანს კიდურზე უმაგრდება ისე, რომ არავითარ დისკომფორტს არ უქმნის. როგორც კი წყალს ეხება, მაშინვე ელექტრონული იმპულსების გამომუშავებას იწყებს, რომელსაც ზვიგენის სენსორული სისტემა კარგად აღიქვამს და საიდანაც სიგნალები მოდის, იმ ზონისკენ საშიში მტაცებელი არავითარ შემთხვევაში აღარ გაცურავს. ეს კი იმას ნიშნავს რომ ადამიანებს უსაფრთხოდ ცურვა და ყვინთვა შეეძლებათ.

ზვიგენების თავდასხმისგან დამცავი მოწყობილობა უკვე იყიდება, მისი ფასი 299 და 335 აშშ დოლარია, მოდელიდან გამომდინარე.

**best-stroitelstvo.ru**

## შვილიანი ქალები უშვილოებზე გაცილებით ჯანმრთელები არიანო



მიუხედავად იმისა, რომ შვილიანი ქალები ძალიან ხშირად ეჯახება სტრესებსა და უძილო ღამეებს, სწორედ დედებს შეუძლიათ გაცილებით ძლიერი ჯანმრთელობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც შვილები არ ჰყავთ.

ასეთი დასკვნა მკვლევარებმა გამოიტანეს, რომლებმაც რამდენიმე ასეული უშვილო ქალის ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემები შეისწავლეს და მიღებული შედეგები შვილიანების მონაცემებს შეადარეს თითქმის მთელ მსოფლიოში.

ჰოდა, დადგინდა, რომ უშვილო ქალების ენერგიულობის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, სოციალური ფუნქციონირების მაჩვენებლები საკმაოზე მეტად დაბალი იყო.

ამ შემთხვევაშიც, ფენომენის ახსნას სპეციალისტები ვერ ახერხებენ და თავიანთი მოსაზრების არგუმენტად სტატისტიკურ მაჩვენებლებს იშველიებენ.

**mndg.ru**

## გულს დაკარგული ნაწილების დამოუკიდებლად აღდგენა შეუძლია?



იმ დროს, როცა ძალიან ბევრი მეცნიერი ყველანაირად ცდილობს, როგორმე ხელოვნური გული გამოიგონოს, ამერიკელმა მედიკოსებმა, პირველებმა მსოფლიოში, დაადგინეს, რომ ძუძუმწოვართა გულს დაკარგული ნაწილების სრულად აღდგენა დამოუკიდებლად შეუძლია.

ცნობილი ხდება, რომ აღნიშნული დასკვნა სპეციალისტებმა ახალდაბადებულ თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გამოიტანეს.

გარდა იმისა, რომ მეცნიერები ხელოვნური გულის შექმნას ცდილობენ, არანაკლები ინტენსიობით მიმდინარეობს მუშაობა სწორედ იმ საკითხზე, რომ დადგინდეს, რამდენად შესაძლებელია, დაკარგული ნაწილების აღდგენა ამ უმნიშვნელოვანესმა ორგანომ თავად შეძლოს.

ექსპერიმენტების ფარგლებში, მედიკოსები ახლად დაბადებულ თაგვებს გულის ნაწილს – დაახლოებით 15 პროცენტს აჭრიდნენ და ამ დანაკლისს ცხოველები თავადვე ინაზღაურებდნენ. კერძოდ, სრული რეგენერაციისთვის მათ 21 დღე სჭირდებოდათ. ამასთანავე, თავისით აღდგენილ გულზე ძველი დაზიანებების არავითარი კვალი არ რჩებოდა და მუშაობას სრულიად ჩვეულებრივად აგრძელებდა.

მიღებული შედეგებით მეცნიერები უსაზღვროდ გაკვირვებულები არიან, რადგან ამ დრომდე ეჭვადაც კი არავის ჰქონდა, რომ ცხოველებს ასეთი უნიკალური უნარი შესწევდათ.

სამწუხაროდ, სენსაციას არცთუ აღმაფრთოვანებელი გაგრძელება აქვს, რადგან გულის აღდგენის უნარი მხოლოდ ახალდაბადებულ თაგვებს შესწევთ, რომელთა ასაკიც 6 დღეს არ აღემატება. უკვე მეშვიდე დღეს რეგენერაციის გასაოცარი შედეგი აღარ დგება.

ამის მიუხედავად, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც მოხერხდა და როცა სრულად ამოიხსნება, კონკრეტულად რა ფაქტორები და რომელი გენები მოქმედებს გულის დაკარგული ნაწილების აღდგენაზე, შესაძლებელია, ისეთი მეთოდი გამოიძებნოს, რომელიც უკვე ადამიანებსაც დაეხმარება.

სასურველი შედეგის მიღებამდე აშკარად დიდი დრო რჩება, მაგრამ, რადგან ცნობილი ამბავია, რომ გაჭირვებული ხავსს ეჭიდება ხოლმე, ასეთი იმედი, დაგვეთანხმებით, მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს.

**kp.ru**

## შენობის დაქირავების ვალუტა ფინეთში... სექსია



სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან სექსი, სექსი, სექსი. თქვენ წარმოიდგინეთ, სექსუალურმა რევოლუციამ უკვე უძრავი ქონების ბიზნესშიც კი შეაღწია და სულ მალე სოფლის მეურნეობაშიც თუ გამოჩნდა, აღარ უნდა გაგვიკვირდეს. მაგალითად, ერთი ინდაურის სანაცვლოდ სექსი ტრადიციულ პოზაში – კაცი ზემოდან, ორ ცალ ინდაურში – ხან კაცი ზემოდან, ხან ქალი, აი, სამ ცალში კი კაციც ზემოდან და ქალიც. უი, არა, ასე არ გამოვა...

სამაგიეროდ, ისე გამოვა, რომ თუკი ფინეთში ვინმეს ბინის დაქირავება მოუნდება, შეეძლება საფასური ნატურით გადაიხადოს – სახლის მფლობელთან სექსუალური კავშირი დაამყაროს.

რაც ყველაზე უცნაურია, როცა ეს ამბავი სამართალდამცველებისა და პოლიტიკოსების ყურამდე მივიდა, მკაცრი ზომების გატარება კაციშვილს არ უცდია. ყველა მიიჩნევს, რომ სექსი გადახდის სავსებით მისაღები და ლეგალური ფორმაა: მხარეების სურვილი და ძალადობის არარსებობა.

ამ, მსუბუქად რომ ვთქვათ, უცნაური ფაქტის მიზეზი ის არის, რომ ბინის ქირის გადახდა ფინეთში საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. ყოველ შემთხვევაში, იქაურები თავს ასე იმართლებენ და...

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მხოლოდ ბოლო კვარტალში ქირის საფასური 2,6 პროცენტით გაიზარდა, დედაქალაქში კი სახლის დაქირავება 3,7 პროცენტითაა მომატებული.

იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ ეკონომიკური რეგულირების ზომებს მიმართოს, ამ სეგმენტში პროსტიტუციის ლეგალიზება არჩია. გადასარევი გამოსავალია, ვერაფერს იტყვი...

**myjane.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მისი დედაქალაქია ლისაბონი
2. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
3. სამწვადედ მომზადებული ხორცი
4. უპირველესი საქმე
5. მსახიობი ჯულია ...
6. მართკ. გვერდების სიგრძეების ჯამი
7. კონდახიანი მშვილდ ისარი
8. „... პიტკინი სასავადმყოფოში“
9. ხეზე ფიგურული ჭრა
10. რეჟისორი ... იოსელიანი
11. ფირნიში
12. იაპონური ავტომობილი
13. მსახ. ... ბესინჯერი
14. მწნილი
15. ფარაონი. აუგეს პირამიდა
16. კოლექტიური მეურნეობა
17. 100სმ
18. ერთნახადი არაყი
19. არქიმედეს შეძახილი აბანოში
20. ცირკის დროებითი ნაგებობა
21. მეტყველების ექიმი
22. მხატვარი ... იგნატოვი
23. ქართული მულტფილმი
24. მახრჩობელა გველი
25. მან დაამზადა ცვილის ფრთები
26. ძლიერი სიცხე
27. სამხედრო ფორმის შარვალი
28. ვაგონებიანი შემადგენლობა
29. თავის მოსაკვეთი მანქანა
30. პოეტი სანდრო ...
31. გასეირნება ქალაქგარეთ
32. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
33. ქოქოსის ხე
34. მათემატიკის ნაწილი
35. მისი დედაქალაქია დელი
36. თამაში ...-პონგი
37. მომღერალი მედეა ...
38. გაზეთი ქართულ პრესაში
39. ვაჟა-ფშაველას გვარი
40. სასროლეთი
41. სახლის გადასახურავი ბალახი
42. ნივთიერება. უფრთხიან ჩრჩილები
43. ბულგარული არაყი
44. შენობა, რომელზეც ეგოროვმა და ქანთარიამ დროშა აღმართეს
45. იაპონელი განგსტერი
46. სამშენებლო ნარევი
47. მსახიობი ბრიუს ...
48. მოწნული ჭურჭელი
49. რეჟისორი ... ლი
49ა. ტომრის ფორმის საფულე
50. სატრფიალო პოეზიის მუზა
51. მსახიობი ბრუნო ...
52. დაკოდილი ცხენი
53. რაიმეს შესრულების აღწერა
54. შტატი აშშ-ში
55. მსახიობი ჯარედ ...
56. „მაუგლი“ პითონი
57. თაღი
58. კომპოზიტორი პეტრე ...
59. ამერიკული თოჯინა
60. „კუზხი ბედინერი“ ძაღლი
61. შიიზმის მიმდევარი
62. რეჟისორი ჯონ ...
63. მდ. სანკტ-პეტერბურგში
64. ფსიქოლოგი ემანუილ ...
65. „... კარენინა“
66. საჭადრაკო ტერმინი
67. „წითელი“ პლანეტა
68. მსახიობი ... ვენტურა
69. ტელეანძა მოსკოვში
70. ბიბლიური მოსეს ძმა
71. მსახიობი ჯესიკა ...
72. იტალიელი ასტრონომი, ჯორდანო ... რომელიც კოცონზე დაწვეს
73. ერთუჯრედიანი ორგანიზმი
74. უქონრო თუთიყუში
75. ალაოს შაქარი
76. ბრენდან ფრეიზერი ფილმში
77. რა ცხოველი იყო რიკი-ტიკი-ტავი
78. მშვილდით სასროლი ჯოხი
79. საპნის ოპერა, ანუ ...
80. ისტორიიდან: ... არაგველი
81. მომღერალი ლედი ...
82. მსახიობი რიჩარდ ...
83. მხატვარი ავთო ...
84. მიწის ფართობის ერთეული
85. მინდვრის ყვავილი
86. სახის ნაწილი
87. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
88. ქალაქი დახრილი კოშკით
89. ზღაპარი „ობოლი და ...“
90. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
91. კომპოზიტორი რიმსკი-...
92. გარეულ ცხოველთა მფარველი ქართულ მითოლოგიაში
93. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
94. ფეთქებადი ნივთიერება
95. ბილიარდის ჯოხი
96. კურტ კობეინის ანსამბლი
97. ის, ვინც ყოყოჩობს
98. კვერცხის თეთრი შიგთავსი
99. ... გასცემ შენია
100. მსუბუქი
101. ... ხაიამი
102. გათბობის სისტემა საბჭოთა პერიოდის ბინებში
103. ამერიკელი მომღერალი ქალი
104. კარიკატურისტი ... ფირცხალავა
105. გადაშენებული ფრინველი
106. ქალაქი აფხაზეთში
107. ბუდისტური
108. ნაჭრის ჩანთა
109. მსახიობი დრიუ ...
110. ღია ფეხსაცმელი
111. ხელის საგრილებელი
112. წამლების მაღაზია
113. სახელმწ. სამხ. აფრიკაში
114. თავსამკაული
115. პოეტი ... შევჩენკო
116. იუპიტერის თანამგზავრი
117. ყანწის მასალა
118. შტატი აშშ-ში
119. ... ფიტცჯერალდი
120. კრავი, ანუ ...
121. რეჟისორი ალფონსო ...
122. მომღერალი ... მინოუგი
123. სომეხი რევოლუციონერი
124. ბოსტნეული
125. ხის ჯიში
126. მსახიობი ჯენიფერ ...
127. იაზონის გემი
128. მთათა სისტემა ...-შანი
129. ჩვილი ბავშვი
130. მდინარე ჩინეთში
131. მომღერალი ... ბადურაშვილი
132. მსახიობი ... ტაკერი
133. აზრი
134. პოეტი ... ამალობელი
135. მხ/ფ „მონანიება“ მამა
136. მსახიობი ... პაჩინო
137. მზის ღმერთი ეგვიპტეში
138. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
139. რიცხვი 3,14
140. გოგოლის მოთხრობა
141. ბოსტნეული
142. ერთგვარი ქუდი
143. დაყაჩაღება
144. ძაღლის ჯიში
145. ... ფოიხტვანგერი

პასუხები: 1. პორტუგალია; 2. გაბროვო; 3. ბასტურმა; 4. პრიორიტეტი; 5. რობერტსი; 6. პერიმეტრი; 7. არბალეტი; 8. მისტერ; 9. ინკრუსტაცია; 10. ოთარ; 11. აზრა; 12. „ტოიოტა“; 13. კიმ; 14. მარინადი; 15. ხეოფსი; 16. კოლმეურნეობა; 17. მეტრი; 18. რახი; 19. ევრიკა; 20. ბალაგანი; 21. ლოგოპედი; 22. კოკა; 23. „მტრობა“; 24. ბოა; 25. დედალოსი; 26. პაპანაქება; 27. გალიფე; 28. მატარებელი; 29. გილიოტინა; 30. ეული; 31. პიკნიკი; 32. მარადია; 33. პალმა; 34. ალგებრა; 35. ინდოეთი; 36. პინგ; 37. ძიძიგური; 38. „ალია“; 39. რაზიკაშვილი; 40. ტირი; 41. ისლი; 42. ნაფტალინი; 43. რაკია; 44. რაიხსტაგი; 45. იაკუძა; 46. ბეტონი; 47. ლი; 48. გოდორი; 49. ენგ; 49ა. ქისა; 50. ერატო; 51. ოია; 52. იაბო; 53. ინსტრუქცია; 54. არკანზასი; 55. ლეტო; 56. კაა; 57. არკა; 58. ჩაიკოვსკი; 59. ბარბი; 60. ბროლია; 61. შიიტი; 62. ვუ; 63. ნევა; 64. კანტი; 65. ანა; 66. ქიში; 67. მარსი; 68. ლინო; 69. ოსტანკინო; 70. აარონი; 71. ალბა; 72. ბრუნო; 73. ამება; 74. არა; 75. მალტოზა; 76. „მუმია“; 77. მანგუსტი; 78. ისარი; 79. სერიალი; 80. სამასი; 81. გაგა; 82. გირი; 83. ვარაზი; 84. არი; 85. ყაყაჩო; 86. ყბა; 87. სპიდომეტრი; 88. პიზა; 89. ქოსატყუილა; 90. სიასამური; 91. კორსაკოვი; 92. ოჩოპინტრე; 93. ნაგავი; 94. ამონალი; 95. კიი; 96. „ნირვანა“; 97. ყოყლოჩინა; 98. ცილა; 99. რასაცა; 100. მჩატე; 101. ომარ; 102. რადიატორი; 103. მადონა; 104. გიგლა; 105. მოა; 106. ოჩამჩირე; 107. პოგოდა; 108. აბგა; 109. ბერიმორი; 110. სანდალი; 111. მარაო; 112. აფთიაქი; 113. ნამიბია; 114. დიადემა; 115. ტარას; 116. იო; 117. რქა; 118. ნევადა; 119. ელა; 120. ბეკეკა; 121. არაუ; 122. კაილი; 123. კამო; 124. ბოლოკი; 125. ტირიფი; 126. ტილი; 127. „არგო“; 128. ტიან; 129. თოთო; 130. იანძი; 131. ნინი; 132. კრის; 133. იდეა; 134. რატი; 135. ვარლამი; 136. ალ; 137. რა; 138. მაკ; 139. პი; 140. „ვიი“; 141. ნიორი; 142. კეპი; 143. რეკეტი; 144. ლაიკა; 145. ლიონ. იკითხება: ტორტი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ბარდა გულისა და თირკმლების დაავადებებისას დაგეხმარებათ



ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბევრი სხვა პროდუქტისგან განსხვავებით, ბარდა ერთდროულად რამდენიმე სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ასევე, თირკმლებზეც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კანადელმა მეცნიერებმა ჩაატარეს.

მათი განმარტებით, ზოგიერთი ნივთიერების კომბინაცია, რომელიც სასარგებლოა და ბარდას ექსტრაქტში შედის, ადამიანების ორგანიზმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. კერძოდ, საუბარია პაციენტებზე მაღალი არტერიული წნევით, რაც შედეგად თირკმლების ფუნქციონირების მოშლას იწვევს.

კანადელი მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ბარდას ექსტრაქტი შეიძლება მიიღონ ადამიანებმა, რომლებსაც ჰიპერტონიული დაავადებები აწუხებთ. ასევე, თირკმლების დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით. გარდა ამისა,

აღნიშნული მიგნებიდან გამომდინარე, სპეციალისტები აპირებენ ბარდას დანამატის დამზადებას, რომელსაც პაციენტები საკვებთან ერთად 6-8 თვის მანძილზე მიიღებენ და ჰიპერტონიისა და ამით თირკმლების დაავადების რისკს 5-ჯერ შეამცირებენ

*mndg.ru*

## ბრიტანელმა ბეთჰოვენი უსინათლო... სპილოებისთვის დაუკრა



ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, რა მაგრად აფრენს ეს ხალხი, წარმოგიდგენიათ?! აბა, სად სპილო, თანაც უსინათლო, სად ფორტეპიანო და სად ბეთჰოვენი, ხალხო!..

როგორც ირკვევა, ბრიტანელმა მუსიკოსმა კონცერტი უსინათლო სპილოებისთვის ტაილანდის კანჩანაბურის მთებში გამართა. ამისთვის 50 წლის პოლ ბარტონს ფორტეპიანოს მთაზე ათრევა მოუხდა.

იდეის ავტორის განმარტებით, ასეთი ორიგინალური მეთოდით მას სურდა არა მხოლოდ ესიამოვნებინა ინვალიდი ცხოველები, არამედ სურდა, საზოგადოების ყურადღება მიეპყრო პრობლემისთვის, რომელიც უსინათლო სპილოების მოვლას უკავშირდება.

ინსტრუმენტის მთაზე ათრევის შემდეგ, ბრიტანელმა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ნაწარმოებების დაკვრა ცხოველებისგან რამდენიმე მეტრში დაიწყო. სპილოები მუსიკას თურმე, ძალიან დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

– პირველ რიგში, საკუთარ თავს გავუკეთე საჩუქარი 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მეუღლესთან ერთად, უკვე წლებია, რაც უსინათლო სპილოებთან ვმუშაობ. დიდხანს ვფიქრობდი, რა უნდა დამეკრა მათთვის და საბოლოო ჯამში, ბეთჰოვენზე შევჩერდი, – ამბობს უცნაური იდეის ავტორი.

რის შედეგად დაკარგეს სპილოებმა თვალისჩინი, უცნობია.

*gazeta.ua*

## ჩინელ მამაკაცს ავსტრალიის კაფეში მილიონი დოლარი დარჩა



მართალია, 1 მილიონ ავსტრალიურ დოლარზეა საუბარი, მაგრამ ცოტა არც ეს გეგონოთ – საუბარია დაახლოებით 977 ათას აშშ დოლარზე, რომელიც ცალტვინა ჩინელ ბიზნესმენს კაფეში დარჩა.

ადგილობრივმა პოლიციამ დაადგინა, რომ 49 წლის გულმავიწყმა მილიონერმა როგორღაც ავსტრალიაში სტუდენტური ვიზით შეაღწია.

ფულის მფლობელის მოძებნა სამართალდამცველებმა მოწმეების ჩვენების დახმარებით შეძლეს – ჩინეთის მოქალაქის პოვნა რამდენიმე საათში მოხერხდა.

ქვეყანაში კანონის დარღვევით შესვლის გამო დაკავების ნაცვლად, პოლიციამ ჩინელი მამაკაცი კლინიკაში გადაიყვანა, რადგან ის არაადეკვატურად იქცეოდა და გიჟივით დარბოდა.

გაგიჟდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა, მილიონი დოლარი ჰქონდა დაკარგული საცოდავს. ავსტრალიური პოლიცია ცდილობს, დაადგინოს გულმავიწყი მილიონერის ვინაობა და თანხის წარმომავლობა. თავად ჩინელი ჯერჯერობით დუმილის უფლებას იყენებს და კრინტსაც არ ძრავს.

*rokf.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 ივლისი:** შეიძლება დღეს მოთენთილი და უხასიათო იყოთ, გარშემომყოფნი კი თქვენგან მეტ აქტიურობას ელიან. გამოფხიზლდით, შეეცადეთ, ამის გამო არავინ გააწბილოთ.

**კურო 22.04-21.05**
**16 ივლისი:** მეგობარი თქვენს თანადგომას ელის, თქვენი მზაობა, რომ დაეხმაროთ, მისთვის მნიშვნელოვანია. არ დაალალატოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 ივლისი:** შეიძლება ზეიმისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი გამოგიჩნდეთ. დასანანი იქნება, თუკი ამ შანსს არ გამოიყენებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 ივლისი:** წინდახედულება გმართებთ. შეეცადეთ, ოქროს შუალედი მოძებნოთ იუმორსა და სარკაზმს შორის. ეს უკანასკნელი საზოგადოებაში წარმატებას არ მოგიტანთ.

**ლომი 23.07-22.08**
**16 ივლისი:** რაღაც მოგადგებათ ენაზე, რის თქმაც რეკომენდებული არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებებს ვერ აცდებით.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 ივლისი:** მონდომების შემთხვევაში ნებისმიერ სიტუაციას გაუმკლავდებით, მაგრამ დღე იმდენად მშვიდობიანი იქნება, შესაძლებლობების გამოვლენას ვერ შეძლებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 ივლისი:** ახლობელზე ზრუნვაში საკმაო დრო და ენერგია დაგეხარჯებათ. დამღლელი საქმეა, მაგრამ კეთილშობილური.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 ივლისი:** რაც არ უნდა მოხდეს თქვენს გარშემო, ხასიათს ვერაფერი გაგიფუჭებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება, სხვა ყველაფერი კი უმნიშვნელოა.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 ივლისი:** მდიდარი წარმოსახვის უნარი გაქვთ. მოიფიქრეთ ისეთი რამ, რაც ამ დღის თქვენთვის სასურველ განწყობაზე გატარების საშუალებას მოგცემთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 ივლისი:** დღეს ინტუიცია ძალიან დაგჭირდებათ. თუ თქვენი ინტუიცია დაგალალატებთ, სხვისას, ოღონდ ახლობელი ადამიანისას მიენდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 ივლისი:** დღეს სრულიად უსარგებლო ნივთსაც კი მოუძებნით დანიშნულებას. კარგი დღეა ადამიანებთან ურთიერთობისთვის.

**თევზები 19.02-20.03**
**16 ივლისი:** შეიძლება დღეს ბევრი იმოძრაოთ, თანაც უმიზნოდ. ადრე ადგომა კარგია, მაგრამ იქნებ წინასწარ დაგეგეგმათ, რა საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

## რატომ არის შუქნიშანი ისეთი, როგორსაც დღეს ვხედავთ?



უკვე დიდი ხანია, ყველა მიეჩვია ქალაქების ქუჩებში შუქნიშნების დანახვას და არავისთვისაა საიდუმლო, რომ წითელი კრძალავს, ყვითელი გვაფრთხილებს, მწვანე კი ნებას გვრთავს.

მაგრამ ის თუ იცის ყველამ ან თუნდაც პირადად თქვენ, ვინც ახლა ამას კითხულობთ, რატომ იქნა არჩეული მაინცდამაინც ეს ფერები?

თუ იცით, მაგას რა სჯობია, მაგრამ თუ არ იცით, მთლად უკეთესი – ამიერიდან გეცოდინებათ.

ყველაზე პირველი საავტომობილო შუქნიშანი პირველად 1868 წელს ლონდონში შეიქმნა და რკინიგზის შუქნიშნის მსგავსად იყო გაკეთებული. კერძოდ, ის ჩვეულებრივ ფარანს ჰგავდა, რომელსაც ორი მხარე ჰქონდა და ორივე სხვადასხვა ფერის შუშებით იყო დაფარული – წითლით და მწვანით.

პირველი საავტომობილო შუქნიშანი ოპერატორის მიერ იმართებოდა და საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავდა.

იმ დროს ჩვენთვის ნაცნობი მოძრაობა, ბუნებრივია, არ ყოფილა, მაგრამ არსებობდა ორთქლის მანქანები, ეტლები და ასევე, ფეხით მოსიარულე ადამიანების დიდი ნაკადები. სწორედ ეს გახდა პირველი შუქნიშნების შექმნის სტიმული.

პირველი შუქნიშნის შიდა ნაწილში გაზის ფარანი იდგა, რათა წითელი და მწვანე ფერის შუქები უკეთ გამოჩენილიყო. ერთხელ ისეც მომხდარა, რომ ეს გაზის ფარანი აფეთქდა და მორიგე პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა. ინციდენტის შემდეგ შუქნიშანი საერთოდ მიივიწყეს და მთელი 50 წელი აღარავის გახსენებია.

შუქნიშნების მომრავლება, ბუნებრივია, ავტომობილის მასობრივად მომრავლების პარალელურად მოხდა. ამ დრომდე მძღოლები ქუჩებში მხოლოდ ბედ-იღბლის იმედად მოძრაობდნენ.

ჰოდა, დადგა 1923 წელი, როცა პირველი ელექტროშუქნიშანიც გამოიგონეს. თავდაპირველად მას ყვითელი შუქი არ ჰქონდა – იყო მხოლოდ მწვანე და წითელი, რომელთა შეცვლის წინ ხმოვანი სიგნალი გაისმოდა. სამწუხაროდ, ბევრ მძღოლს ეს ხმა არ ესმოდა, რის გამოც უკვე ყვითელი ფერის დამატებაც გადაწყდა.

ახლა რაც შეეხება კითხვას, რომელიც დასაწყისში დავსვით: წითელი ფერი გამოიყენება იმიტომ, რომ ის ყველაზე მკვეთრი და გამორჩეულია. მწვანე ფერი სიმშვიდესთან ასოცირდება, აი, ყვითელი კი წითლისა და მწვანის გარდამავალ ფერად მიიჩნევა.

საინტერესოა, რომ იაპონიაში საკმაოდ დიდხანს (ზოგ ქალაქში ეს დღემდე ასე ყოფილა) მწვანე ფერის ნაცვლად, შუქნიშანი ცისფერს ანთებდა. მოგვიანებით იაპონელებმა გაარკვიეს, რომ ადამიანის თვალი ცისფერს ისე კარგად ვერ აღიქვამს, როგორც მწვანეს და შეცდომის გამოსწორებაზე ზრუნვა დაიწყეს.

*1001facts.info*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტეს ქუჩაში ძმაკაცი შეხვდა:

– რამ დაგამწუხრა ასე, კოტეს შემოვევლე?

– საშინელი სიზმარი ვნახე, კაცო, ნამდვილი კოშმარი – ვითომ ანჯელინა ჯოლი, მონიკა ბელუჩი, კამერონ დიასი და ჩემი ცოლი როზა ჩემ გამო ჩხუბობდნენ, დაასისხლიანეს ერთმანეთი...

– და რატომ არის ეგ კოშმარი?

– როზამ გაიმარჯვა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი** (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე** (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.33